

ნათელა ჟღანგი-ჯიჯავაძე

წამენათეუვი
ფიქსები





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბსპ

ნათელა ჟღენტვი-ჯიჯავაცა • ღამენათევო ფიქრებო





ნათელა ჟღანდია-გიგინეიძე

წამყვანი
ფიქსები

თბილისი
2018

რედაქტორები თეონა ძნელაძე

კორექტორი ნინო არჩვაძე

გამოცემის რედაქტორი

მარინე მარკოზაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

ალექსანდრე კუზანაშვილი

გამომცემლობა

„სვეტი +“

չարևանի նահիւլ շիժիթրօ
այաւի ուր շնիւ նաշուա,
ճրաճիւր շրնժուր ու ժիճնժի
նյաոււււրի շաշորա;
նյնիճիւ Լուր ժժնիճի
շուշաշի շոճիւ ժնիւր շիւրի,
իւժ իճիւ յիւր շիւրա
Լժիւիւ շաշիւրի շիւրի.

შესავლის მაგიერ

მზე ფანჯარაში იცქირება, მე კი ვზივარ და ვწერ, მზე თავის აწევის საშუალებას არ მაძლევს და თვალებს ვხუჭავ, ვაგრძელებ ფიქრს, რა იქნება ხვალ, თუმცა ჩემს ცხოვრებაში რაღაცა უნდა შეიცვალოს. ისედაც გრძელი ცხოვრების გზა გავიარე, სხვებს უფრო გრძლად ეჩვენება, მე კი არა, ჯერ კიდევ ახალ-ახალი გეგმების მოლოდინში ვარ. ვდგევარ გზაგასაყარზე, ჯერ-ჯერობით არ ვიცი როდის გადაიკვეთება... ცხოვრების ამ გრძელ გზაზე, ბევრი კარგიც ვნახე, ბევრი ცუდიც, – ცუდი თავიდანვე დამებედა, დავიბადე ომის დაწყების წინ, შიმშილი, სიცივე, ჩემი ბავშვობის მეგზური გახდა... ადრე მეწვია დიდობა, ჩემს ირგვლივ ყველა ომზე ლაპარაკობდა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი დაბადებიდან სიკვდილამდე წინააღმდეგობებს ეჭიდება, დრო ფუსფუსში, დარღში, ახლის ძიებაში კვალდაკვალ მიყვება თავის დროის შესაბამისობას. ის, – მითუმეტეს ბავშვი ვერაფერს შეცვლის! – მერეც, კარგა ხანს არ მდირსებია მშვიდი ცხოვრება, თუმცა ამაზე უფრო ფართოდ მაქვს მოთხრობილი ჩემს მეოთხე წიგნში, რომელსაც დავარქვი „მორეული გადმოსახედიდან“ და მასში ჩემი ცხოვრების ბიოგრაფიაზე ვისაუბრე.

ბევრჯერ მიფიქრია, შემეძლო თუ არა ცხოვრება უფრო კომფორტულად ამეწყო, შემეძლო, მაგრამ ვერა და ვერ შევძელი, რადგან ადრე ცხოვრებას ვარდისფერი სათვალით ვუყურებდი და მერე, როცა ვხედავდი „ვიდაცას“ – შეეძლო დაენგრია ჩემი ილუზიე-

ბი, და ვიღაცას შეეძლო ჩემს მაგივრად „ეფიქრა“ და გაემრუდებინა ჩემი ცხოვრება, ის დასკვნა შემეძლო გამეკეთებინა, რომ – მივეყოლოდი ცხოვრების დინებას; ლექსების წერა ბავშვობიდან დავიწყე, მეხუთე კლასში ვიყავი გაზეთ „ნორჩ ლენინელს“ ლექსი რომ გავუგზავნე სტალინზე, ისეთს მე რას დავწერდი და რა თქმა უნდა არ დამიბეჭდეს, – ბევრი ვიტყვი... ვწერდი ლექსებს, გულს ვიხალისებდი, სკოლის მოსწავლეთა კედლის გაზეთიდან მეგობრებს „ვესაუბრებოდი“. რომ გავიზარდე უფრო გავთამამდი, პირველად ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ საბავშვო ლექსები გავაგზავნე და დამიბეჭდეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. სულ მალე „ლიტერატურული აჭარა“ ჟურნალ „ჭოროხმა“ შეცვალა და მე მისი მკითხველი და „მოსაუბრე“ გავხდი. ჟურნალში ამჯერად მოთხრობებს ვგზავნიდი, გავთამამდი იმითაც, რომ ყველას მიბეჭდავდნენ. ადგილობრივ გაზეთ „ლენინელში“ სისტემატიურად ლექსებს, ნოველებს ვბეჭდავდი. ეს იყო გასული საუკუნის 60-70 წლები.

თანდათან თავი მოიყარა ლექსებმა და მოთხრობებმა, ვწერდი და აქაც და ბათუმში მიბეჭდავდნენ, ცნობით არავინ მიცნობდა ვინ ვიყავი და გადავწყვიტე მივსულიყავი მწერალთა კავშირში. ავედი მეორე სართულზე და საიდანაც ხმა გამოდიოდა, მივაყურადე, მივხვდი თათბირი მიმდინარეობდა, ცოტახანს შევიცადე და გადავწყვიტე ოთახში შემეჭვრიტა. როცა კარის შეღება დავაპირე, ისე ხმამაღლა დაიღრჭიალა, გული კინაღამ გამისკდა და ჩქარა მივხურე. ოთახიდან ვიღაცამ გამოიმძახა, – მობრძანდითო, გაქცევით ვეღარ

გავიქცეოდი, რადგან ხმამ რომელმაც შემიპატიუა, ჩემსკენ მოემართებოდა, კარი ბატონმა ფრიდონ ხალვაშმა გამოაღო და ოთახში შემიპატიუა. ოთახში რომ შევედი გრძელი მაგიდის ირგვლივ მწერლები ისხდნენ, სკამი მომაწოდეს და იქვე მოკრძალებით დაუჯექი. ბატონმა ფრიდონმა საუბარი გააგრძელა და 15-ოდე წუთში დაამთავრა. ყველამ მოლოდინის თვალით შემომხედა, მივხვდი უნდა მეთქვა თუ ვინ ვიყავი და მეც ჩუმად ჩავილაპარაკე ნათელა უდენტი ვარ მეთქი. ამას ისეთი რეაქცია მოყვა, შემრცხვა, დამაყარეს კითხვა ვინ ვიყავი, რას ვაკეთებდი. როგორც მივხვდი ჩემს გარეშე მიცნობდნენ, რადგან უკვე ჟურნალ „ჭოროხში“ ბევრი მოთხრობები მქონდა გამოქვეყნებული, ზოგიერთი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ იყო გადაბეჭდილი. მოთხრობები „ჭაშნიკი“ და „მეცომის მონაწილე ვარ“, რომელიც ომის დამთავრების 25 წლისთავისათვის ჟურნალ „ჭოროხის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა.

1971 წლის 25 აგვისტოსათვის მწერალთა კავშირის სხდომაზე მიმიწვიეს. ბატონმა მამია ვარშანიძემ წაიკითხა სიტყვა ჩემი მოთხრობების შესახებ და დამიჭირა მხარი წიგნად გამოშვების შესახებ, რასაც ყველა დაეთანხმა. მერე დაბეჭდვა რამდენჯერმე გადაიდო, ამასობაში 70-იანი წლების ბოლო ხანები იდგა და ყველაფერთან ერთად ჩემი წიგნის გამოსვლაც მიჩუმათდა. – (მერე ეს წიგნი ჩემი შვილის, კობა ჯიჯავაძის დახმარებით 2013 წელს გამოვეცი თბილისში, რომელსაც ერთერთი მოთხრობის მიხედვით – „სეინერები გადიან ზღვაში“ – სათაურად დავაწერე.

ეს ის პერიოდი გახლდათ, როცა ვმუშაობდი ქობულეთის 90-ე ტექნიკურ სასწავლებელში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობით დარგში. ვკითხულობდი ლექციებს „ესთეტიკაში“. ბევრი კარგი რამ მახსოვს იმ წლებიდან. გექონდა შეხვედრები მწერლებთან, აჭარის მწერალთა უმეტესობის წიგნები მქონდა საჩუქრად.

მაშინ აჭარაში მწერალთა საუკეთესო პლეადა მუშაობდა. ჩვენი რაიონიდან იყვნენ: ა.ხაბაზი, ჯ.ქათამაძე, იყო შეხვედრები, რომელიც ნამდვილი ზეიმი გახლდათ. რა დამავიწყებს ბატონ ზურაბ გორგილაძის ლექსების ომახიან კითხვას.

ახლანდელი აჭარის მწერლობას არ ვიცნობ, რამდენჯერმე ვთხოვე ბატონ დავით თევდორაძეს, შეგვკრებილიყავით მათ რომელიმე ღონისძიებაზე, მაგრამ რატომღაც არ მოხერხდა ...

იდგა 1973 წლის ოქტომბრის ბოლო დღეები, ჩემი მეუღლე „დედათა და ბავშვთა დასასვენებელ სახლში“ ბუღალტრად მუშაობდა. აქ დასასვენებლად ჩამობრძანდა პოეტი ანდრო თევზაძე. ბუღალტერიაში დღისით ფოსტა მოქონდათ. გაზეთ „ლენინელში“ გამოქვეყნებული იყო ჩემი რამდენიმე ლექსი და სურათი. ბატონმა ანდრომ კითხა თუ ვინ ვიყავი. როდესაც გაიგო თუ ვინ ვიყავი, ჩემი გაცნობა მოისურვა. შემდეგ ბატონი ანდრო სახლში მოვიპატიუე, გაეცნო ჩემს ლექსებს, რამდენიმე წაიღო და 1973 წლის 20 დეკემბრის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ მეოთხე გვერდზე ბიოგრაფიასთან ერთად გამოაქვეყნა. – გაცუკუბული დავრჩი, არ დარჩენილა საქართველოს რომელიმე კუთხე, ჩემთვის წერილები რომ არ მოეწერათ, მიქებდნენ ლექსებს,

მთავაზობდნენ მეგობრობას, ...

– ახლა 4 წიგნი გამოვაქვეყნე, ამ შემოდგომაზე ალბათ მეხუთეც გამოქვეყნდება, და არავის სიტყვაც არ უთქვამს, ჩემი ახლო მეგობრების გარდა, რომლებიც დიდი სიამოვნებით კითხულობენ... გამააკვირვა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, ბატონ დავით თევდორაძის უსიტყვო დუმილმა, თუმცა მე ყველა გამოცემის თითო ეგზემპლარი მწერალთა კავშირში დავტოვე.

გაზეთში ლექსების გამოქვეყნებას მოყვა ტელევიზიიდან ჩამოსვლა, გადამიღეს სახლში ასევე ტექნიკურ სასწავლებელში გაკვეთილის მსვლელობისას, ზღვის სანაპიროზე, ტელევიზიაში ის ფირი ორჯერ გავიდა. გადაცემა მიყავდა ერთ-ერთ საუკეთესო წამყვანს ქალბატონ ჟულიეტა ვაშაყმაძეს... ერთ-ერთ საუბრის დროს ბატონმა ანდრომ მითხრა, – თქვენ წერთ, აქედან თითქმის არაფერი შემოსავალი არაა, რატომ წერთ, რას ელოდები მერმისისაგან. რა არის თქვენი მიზანი? ცოტა დავფიქრდი და გულახდილად ვუთხარი ბატონ ანდროს, – არაფერს! – მაგრამ რა ვქნა, რამდენჯერაც გადავწყვიტე თავი დამენებებინა, თითონ არ დამანება! ბევრი დავხიე კიდევ, მაგრამ თავს არ მანებებს, მერე ისევ ვიღებ კალამს და ვწერ!

– ბატონ ანდრომ მიპასუხა, ქართველს თითქმის ყველას დაუწერია ლექსი ერთი ან ორი, მერე გაუცინია ახალგაზრდობაში მეც ვწერდი, როცა შეყვარებული ვიყავიო, – შენ გინდა თავი დაანებო და ვერ ანებებ, სწორედ ეს არის პოეტო, როცა თავს ვერ ანებებო...

ეს საუბარი უკვე გვიან, როცა წერა გავაგრძელებ მათინ გავიხსენე...

სამი ათეული წელი ისე გავიდა აღარაფერი დამიწერია. ის ნაწერები, რომლებიც იბეჭდებოდა, უმეტესობა შენახული მქონდა, რამდენჯერმე გამოვიტანე დასაწავად, როცა ცეცხლი ეკიდებოდა, თითქოს იმ ცეცხლში ჩემი ასაღებად იფერფლებოდა, დავტაცე ხელი და ისევ ტომარაში ჩავაბრუნე, კარადის ძირის თაროზე შემოვდევი ისევ, იმ ფიქრით, რომ როცა მე აღარ ვიქნებოდი სხვები მაინც გადაყრიან-მეთქი...

მოვიდა საპენსიო ასაკი, ქობულეთში ევროკავშირის ეგიდით, ხანდაზმულთა რესურსცენტრი გაიხსნა, რომელსაც ქ-ნი ნანა კალანდაძე უძღვება. ასეთი ცენტრები ნამდვილად ყველგან უნდა არსებობდეს, ჩემთვის საუკეთესო ბაზა გახდა. დამჭირდა ლექსები... მერე დაბეჭდვაც გადავწყვიტე.

60-70-ნი წლების ნაწერებიდან დაიბეჭდა ერთი ლექსების და მეორე მოთხრობების (ორივე საკმაოდ სოლიდური) წიგნი, ამან ძალიან გამახარა, ამას დაერთო ისიც, რომ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკამ წიგნების პრეზენტაცია შემომთავაზა, რომელიც საუკეთესო ასპექტში განხორციელდა. ვსინჯე იქნებ შევძლო ახალი დამეწერა მეთქი და იქ წავიკითხე ახალი ლექსები, მათ შორის დავით აღმაშენებელზე „დიდო მეფეო“! ისე მოზღვავდა ლექსი – რომ გაცოცხლებული დავრჩი.

2014 წელს დავბეჭდე 200 გვერდიანი ახალი ლექსების კრებული „ბილიკებში ჩაკარგული ოცნებები“. 2016 წლის შემოდგომაზე გამომცემლობა „სვეტი“-მ

გამოსცა „შორეული გადასახედიდან“, რომელიც ჩემი საიუბილეო 80 წელს მიუძღვენი და ქობულეთის მუზეუმის დირექტორის ბატონ რეზო ტაკიძის ძალისხმევით და ქალაქის საზოგადოების, №3 საშუალო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნანა სიხარულიძის ხელმძღვანელობით.

საღამოს უშუალო ორგანიზატორი მუზეუმის დირექტორი ბატონი რეზო ტაკიძე გახლდათ.

გავხდი 80 წლის! – დავსვი წერტილი. და საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ მეტს არაფერს დავწერდი, და ეს ლექსში გამოვხატე, – რომ აღარაფერი მაკავშირებს „აღარც ლექსთან და აღარც ქალაქთან“...

დადგა 2018 წლის ახალი წელი, ვწერ საახალწლო ლექსს, მერე სხვებიც მიყვა, საუკეთესო ლექსად მიმაჩნია ლექსი „საგალობელი დედას“, რომელიც ყველა იქეთ წასულ დედებს ეძღვნება... და ისევ ახალმა ლექსებმა მოიყარა თავი, რომლის წიგნად გამოცემას ახლა ვაპირებ... და ახლა ნამდვილად გადაწყვეტილია მეტს აღარ დავწერ!...

და ისევ გამექცა თვალი, და სურვილად მექცა დავწერო ხანდაზმულობის პერიოდზე, რა შეიძლება ადამიანმა გააკეთოს, სიცოცხლის ამ ეტაპზე, როგორია მისი შესაძლებლობები, ყოფადი ცხოვრება და ა.შ.

– თუმცა ამას მომავალი გვიჩვენებს!...

ნათიელა ჟღენტი

დავდევ კარდაკარ

ო, როგორ მინდა ყველა საფიქრალს
ჩემს ოცნებებში ძეგლი დაუდგა,
რომ ქარბორბალას მიაქვს წლები
და ყველაფერი თითქოს გასრულდა.

მოვეფერები ყველა საფიქრალს
რადგან ის ჩემში ისევ ხმიანობს,
ვეძებ, ვეძახი დავდევ კარდაკარ
რომ არასოდეს დამიგვიანოს.

იქნებ ესაა სულის ყივილი?!

როცა ფიქრებში არ მოგასვენებს,
მოგეძალება ისევ სათქმელი
და სიყვარულით კვლავ მოგაფერებს.

ზოგჯერ ჩემს გულში შუქი კიაფობს
ზოგჯერ მეძახის გრძელი ზამთრობა,
დავდევ და ვეძებ იმ დაქუხებას
რომ გავს უცაბედ თოფის გასროლას.

* * *

ვუფროთხილდებოდი ყოველ დღეს,
 ვუფროთხილდებოდი დროს,
 არ ვიცი, რას ვიზამდი ნეტავი
 თავიდან რომ დამეწყო რომ ...
 წისკვილში ტრიალებს ბორბალი,
 მეწისკვილე სიმინდს ფქვავს,
 ყველამ თავისი საქმე აკეთოს
 თავისი სათქმელი თქვას!

* * *

მორბის ქარავანი, სიხუმე წალეკა,
 დასავლეთით გაიპარა მზე,
 სიცივე ძვალ-რბილში ატანს,
 სიყვითლეში ჩაძირულა ტყე,
 თანდათან ავობს ქარი
 ყველაფერს უცვლის ფერს,
 ქარავანი მირბის რიხინით-ხმაურით –
 ღმერთს შესთხოვს მზიან დღეს.

ორი თარიღი

ცხოვრების წლები თავის გზით მიდის
ვემორჩილებით ბუნებას ფარულს,
ადამიანი თავის კვალს ტოვებს
და საბოლოოდ ვაჯამებთ წარსულს.

არც არაფერი არ მიგვაქვს იქეთ,
არც ვინმეს რამე არ წაუღია,
ბევრი ოცნება დაგვრჩა ოცნებად
და ამ ფიქრებში დროს ჩაუვლია.

ზოგი მწვერვალზე ადის ადვილად,
ზოგი მიათრევს ამ წუთისოფელს,
ყველას თავისი კუთვნილი გზა აქვს,
ზოგისთვის მხოლოდ ტკივილს იტოვებს.

ყველა სურვილს და ყველა ოცნებას,
არამგონია ერგოს ახდენა,
დარჩება მხოლოდ ორი თარიღი
დაბადება და გარდაცვალება.

* * *

საით გამირბით, ლამაზო წლებო,
ახალგაზრდობის დროს რომ მაგონებთ,
მოდი, დღეები გამიხალისეთ
ის გახსენება გულის რომ ათბობდეს.

ის ადრეული სიტყვაკაზმული
გულში სანთლებად კვლავ ამინთია,
დრო გარდასული, დრო უშფოთველი
მოგონებების საწინდარია.

ისევ დაგკრიფოთ ტყეში ყვავილი –
ნაზი იები ცისფერთვალება,
გულში ამინთოს ის სილამაზე,
როგორც აპრილის დილის ნათება.

ვაზის ტირილი

გაზაფხულზე როცა ბაღში
ვაზის ტოტი ამიტირდა,
მერე ჩუმად მოვეფერე –
რა სტანჯავდა, ცრემლს რად ღვრიდა.

მიპასუხა, ცხოვრებაში
ყველაფერი გათვლილია,
და ცრემლები ნაფერები
ძველი სევდის ნაწილია.

საქართველოს პირველობა,
არავისთვის დაუთმია,
ქვეყნებს შორის ღვინის ფასი
გზად და ხიდად გაუდვია.

ახლა, როცა ყველაფერი,
ღვინის ირგვლივ გათვლილია,
ის ცრემლები ნაფერები
სიხარულის ნაწილია.

ეს სიყვარულია

როცა სიყვარული გულს ეფერება,
თითქოს მზე არის შენი სასახლე,
ყოველი დიდის მზით გათენება
შენს გულს გაათბობს და გაგახარებს.

გულში ზეიმობს ის მონატრება
გულს რომ ვერაფრით ვერ ჩაახუმებს,
და სამომავლო დიდი იმედი
ამ დიდ სიყვარულს ვერ გაახუნებს.

მერე გეწვევა ფიქრთა სავანე,
ჩაუქრობელი სხივის ნათება,
იმ დიდი გრძნობის დასაწყისია
სიხალისე და აღმაფრენა!

ისევ მეძახის

ისევ მეძახის ტაღლის ხმაური
და ძველებურად მომეფერება,
ჩამოვუჯდები სანაპიროსთან
და ახალ-ახალ ამბებს მიყვება.

ძველი ოცნება და სიხარული
იმედად მუდამ გულში მინთია,
ის სიყვარული რაც ჩემს გულს ათბობს,
სხვისთვის არასდროს არ გამიცია.

ისევ მოვედი სანაპიროსთან,
სევდიან ფიქრებს ისევ უნ განდობ,
იცოდე, ისევ მეიმედები
და არასოდეს დამტოვო მარტო.

მსოლოდ ფრაზა

* * *

თუკი ადამიანს სიკეთეს გაუკეთებ
გახსოვდეს დაივიწყე იგი,
ჯობია სიკეთე თვითონ გაიხსენოს –
სიკეთის ქმნას მაშინ აქვს ხიბლი.

* * *

ტყუილად არ მივლია ამქვეყანაზე,
მეც მაქვს სათქმელი რაღაც,
– ჯობია ის სათქმელი სხვამ თქვას,
სათქმელი რაც რომ დამრჩა...

* * *

ავწონ-დავწონე განვლილი ცხოვრება,
ბევრი მომეწონა ბევრი არა ...
– ღმერთო, შენ როგორ შეაფასებ არ ვიცი,
მე კი მგონია, კმარა!

* * *

ზათქით მოაწყდა ტალღა ნაპირებს
და ქარიშხალი ცერზე ღებოდა,
შემინებული გავცქერდი სივრცეს
რადგან მეორედ მოსვლა მეგონა.

ღმერთო, რამდენჯერ გვაწვალებს ფიქრი –
ხან ავდრისა და ხანაც ქარიშხლის,
ყველა ის განცდა გულს აწერია
უკურნებელი გულის ტკივილით.

ხან გამექცევა ფიქრი წარსულში
და ვერ ვივიწყებ მღელვარე განცდას,
ღმერთს ვევედრები – გვქონდეს სიმშვიდე,
ტკივილიანი ფიქრების ნაცვლად!

* * *

ზოგჯერ ლექსები თვითონ მეძახის
და თავისთავად გულში ხმინაობს,
რა გამაჩერებს, რა დამადუმებს
როცა სათქმელი თვითონ მიამბობს.

როცა სივრცეში გამობრძანდება,
და მზე სხივებად გაშლის მარაოს,
ეს არის დილის მზის ამღერება
მჯერა, ყველაფერს ჩუმად გამანდობს.

თუ გემღერება უნდა იმღერო,
და გულს ჩამოკრავს ჩანგი სიმებად,
ეს ყველაფერი გაზაფხულს მოსდგამს
და მათი ხიბლი საგზლად მიმყვება.

ჩემო გურია

ისევ მეძახის ჩემი ბავშვობა
და შენს მინდვრებში გავლა მწყურია,
რა დამავიწყებს იმ ლამაზ დღეებს,
მომნატრებისარ, ჩემო გურია.

ის სიყვარული რაც რომ მაჩუქე
ცხოვრების გზაზე მუდამ დამქონდა,
და იმ ყველაფრის გახსენებისას
მახსენდებოდა ჩემი ანცობა.

მინდა შენს მთებს და შენს ლამაზ ფერებს
ისევ ავუნთო გულში სანთლები,
სანამ სიცოცხლე ხმაურობს ჩემში,
ვიცი, არასდროს დამავიწყდები.

ჩემი სოფლის დედე

მომენატრა ის პატარა
ჩემი სოფლის დედე,
გამახსენებს ანცობას და
ჩუმად ამამდერებს.

გამახსენებს მეგობრებთან
ქვიდან წყალში ხტომას,
ფეხთან თევზის შეხებისას,
უნებლიე შფოთვას.

კლდესთან ტალღის შეჯახებას,
ფორიაქს და ხმაურს,
პირველ ბაღურ მოწონებას
და სილაღეს წარსულს.

გაზაფხულზე ჩემს სოფელში
როცა დაებრუნდები,
მახსენდება ჩემი დედე
და ბავშვობის წლები.

მეუღლას

უკვე რამდენი წლები გავიდა
და სიყვარულით ისევ გიგონებ,
ასე მგონია, ღიმილით მოხვალ
გაშლილ მიმოზებს გამომიწოდებ.

8 მარტის დილა თენდება ახლა
მრავალი მარტი წარსულში დარჩა,
როცა მიწვდიდი ლამაზ ყვავილებს
და სიყვარულის მრჩებოდა განცდა.

ახლა სიბერე კარს მიკაკუნებს
და უშენობას უფრო განვიცდი,
ასე მგონია, ახლა წლებები
იმაზე უფრო სწრაფად გამიბრბის.

შემომეცალენ, ვინც რომ მიყვარდა,
ყველა ტკივილებს მათით ვითმენდი,
ასე მგონია, ჯერ კიდევ დამრჩა
სათქმელი
– კითხვას გაუცემელი!

თეთრი ზამთარი

გამახსენდება თეთრი ზამთარი
და წიფლის შეშის ჩუმი ტკაცუნის,
დიდ გობზე თეთრი ფქვილის მოზელა,
ჭადის სურნელი რაღაც ზღაპრული.

ახლა როდესაც წლებმა დამღალა,
ბავშვურ სიამეს ისევ ვისხენებ,
და დედის თბილი ხელით ნაფერებს
ვერც ვერასოდეს ვერ დავივიწყებ.

ასე ყოფილა, ასე იქნება,
დრო იმ ბავშვობას ვერ გაახუნებს,
და მჯერა, მჯერა დროების სრბოლას
იმ ბავშვობაში კვლავ დამაბრუნებს.

სამშობლოს

მე მოფერება შენი არ დამღლის,
რადგან სამშობლო ერთადერთია,
იმ სიყვარულით შენ რომ მიყვარხარ
განა ვინმესთვის საკვირველია?

შენი მთები და შენი სერები,
სიყვარულისთვის გზა და ხიდია,
ცვრიან ბალახზე შიშველ ფეხებით
მრავალჯერ ფეხით გადამივლია.

ჩემი სამშობლო ზოგიერთივით –
არც არავისგან წანართმევია,
დალოცვილია იგი ღვთისაგან
და წინაპრების ნაფერებია.

შენ გაგიმარჯოს, ჩემო სამშობლოვ,
სხვა შენნაირი არსად მინახავს,
– შენ დამილოცე გზა და სავალი
და ასე ძლიერ მიტომ მიყვარხარ!

უცაბედი მოწონება

უცაბედი მოწონება
თითო გამოჰკრავს გულის სიმებს,
დაწყებული ციდან, მზიდან
ყველაფერი გაგიღიმებს.

სულ უბრალო ბალახიც კი
თითქოს უცებ დაგამშვიდებს,
დაგავიწყებს ყველა ტკივილს,
სიყვარულზე დაგაფიქრებს.

ჩაგიდგება თვალში სხივი,
სხვანაირად ააღდება,
დააყურებ სულის კენესას,
მის უცაბედ აღმაფრენას.

მოსვენებას დაგიკარგავს,
ფიქრები კი გასდევს ფიქრებს,
ვერაფერი დაგამშვიდებს
სიყვარულის გადამკიდეს!

* * *

მეჯავრება ქლესა კაცი,
კანს რომ იცვლის როგორც გველი,
კარგად ხვდები, რაც რომ უნდა
და რაღაცას შენგან ელის.

ისეთ დროზე გაგიდიმებს,
როცა ღიმილს მიზანი აქვს,
თითქოს შენთვის ემეტება
სიყვარული რასაც ჰქვია.

გულით გინდა მიახლო
რასაც ფიქრობ, ან რაც გეთქმის,
დაგებმება მაშინ ენა
და ვერაფერს ველარ ეტყვი.

ძნელი არის სიმართლის თქმა,
უთქმელობაც არის ძნელი,
სიმართლის მთქმელს უნდა ყავდეს
შეკაზმული კართან ცხენი.

სხვისი რა იცის...

ადამიანმა სხვისი რა იცის –
ზოგჯერ გულით რომ ტკივილს ატარებს,
და ფიქრობს შენზე, ბედნიერი ხარ,
რომ არაფერი აღარ გადარდებს.

თუ ასე ფიქრობს, დაე იფიქროს,
ტკივილს ფიქრების არ ეშინია,
მთავარი არის რას ფიქრობ შენ და
გულის ფიცარზე რა გაწერია.

მე მარტო ჩემი კი არ მადარდებს,
ვხედავ ქვეყანა როგორ დღეშია,
ვფიქრობდი კარგზე, კარგ მომავალზე
ამ ფიქრში წლები შემომეღია.

* * *

რაც უნდა იყოს, რაც უნდა მგესლონ –
სიცოცხლეს მაინც დავეშურები,
ზოგჯერ მტრის ჯინზე გავიცინებ და
სიყვარულს გულში ჩავეხუტები.

თეთრი ვარდები გამიხსნის ბაგეს
და გაშლილ ფოთლებს მოვეფერები,
კაბის საკინძეს გავუხსნი მძევლად
და სიყვარულში გამოვუტყდები.

ზოგჯერ მაკვირვებს ადამიანში
რომ ბოროტება ჩაბუდებულა,
ის არ სჯობია გულის კუნჭულში
სიყვარული რომ გაყუჩებულა?

მინდა სიცოცხლემ ფრთები გაშალოს,
ამ ქვეყანაზე ისე ვიარო,
ულამაზესი თეთრი ვარდებით
ეს წლები მშვიდად გადავიარო.

მოგონება

ბათუმის პარკში დგას მაგნოლია
თეთრი ყვავილით, მწვანე ფოთლებით,
გამახსენებენ სტუდენტურ წლებს,
შესვენებისას იქ რომ ვიჯექით.

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ტკბილად
სტუდენტობის წლებს მუდამ ვიხსენებ,
გულს მიხალისებს მოგონებები,
დასავიწყებლად ველარ ვიმეტებ.

წუთისოფელი წუთებში გარბის,
მის სრბოლას ვერვინ ვერ შეაჩერებს,
ის სილამაზე ფიქრებს შემორჩა
და სიყვარულით გულს შევაჯერებ.

* * *

შემოდგომის ყვითელ ფოთლებს
ქუნა, ქუნა ქარი ფანტავს,
და წარსულის ლაბირინთში
მზე სხივებით ქსოვს და ქარგავს.

ღამეა და ჭადრის რტოზე,
მთვარე ჩუმად განაბულა,
გამაოცა სიმშვიდემ და
სილამაზემ არნახულმა.

მერე ღამის იდილიამ
გულში სევდა გააყუნა,
ის სიცელქე გაზაფხულის
მდუმარებამ დაადუნა.

* * *

მომნატრებია სკოლის კედლები,
და მოსწავლეთა თბილი ალერსი,
ვიხსენებ კიდევ ზოგიერთ მათგანს,
როგორც საკუთარს მოვეფერები.

ზოგჯერ სიზმარშიც მეძახის ზარი,
და მონატრება მათი ხმაურის,
თითქოს გრძელდება ის ყველაფერი
შესვენებისას აურზაური.

ჩემში ხმაურობს ის გახსენება
მათ სიცვლქეს რომ მეგზურად ახლავს,
ეს ყველაფერი სიყვარულია
მასწავლებელის დიდ შრომის ფასად.

სანაპიროზე

როცა გასცდება სანაპიროს გემი ტაატით
და შორეულ გზას დაადგება მთელი ამალით,
სანაპიროზე გაყუნდება უჩუმრად სევდა,
იმედით სავსე, სამომავლო ფიქრით და განცდით.

თან გაიყოლებს სევდიან მზერას,
და სიყვარულით სავსე იმედებს,
შენ იყავ, ღმერთო, მათი მფარველი
ჩუმად ჩურჩულებს გამცილებლები
- და ცრემლებს იწმენდს!

* * *

არ გამისურო უცებ კარები –
მაცალე ცოტა რამის სათქმელად,
რადგან წინ მელის არდაბრუნება,
საკმაოდ ბევრი გასახსენებლად.

ნუ იფიქრებ რომ მივტირი წარსულს
სამომავლოდაც უფრო მეტს ველი,
მგონია, დამრჩეს მოსაგონებლად,
რადგან ვიარე ლამაზი გზებით.

მე ჩემს სიცოცხლეს ფიქრებში გავცვლი
და ოცნებები დამამუნჯებენ,
აპრილის ლურჯი მოგონებები
ისევ იმ გზებით დამაბრუნებენ.

* * *

როცა საქმით ვარ დაღლილი –
ფიქრები გამინაპირებს,
ისეთი რამე მჭირდება –
გუელსაც რომ გამიხალისებს.

მოუსვენარი ფიქრები,
სათქმელით კარს რომ გამიღებს.
იქნებ ისეთი რამე ვთქვა
არ სათქმელს რომ დამავიწყებს.

თუ ისეთი რამ მართლა ვთქვი,
წასაკითხადაც რომ ღირდეს,
გულისთქმას მოვეფერები,
ბწკარებად ჩამოვარიგებ.

იზიქრა

ყველაფერს თავის წონა აქვს,
კაცისგან დასაფიქრები,
ზოგჯერ უბრალო სიტყვასაც
სიმძიმე გასაკვირველი.

ზოგჯერ სიტყვაა უწონო,
სათქმელადაც რომ არ ღირდეს,
ამიტომ აწონ-დაწონე –
თქმამდე მრავალჯერ იფიქრე.

მოქმელს უნდა კარგი გამგონი,
ისე ნათქვამს ვერ გაიგებს,
პირიდან ნასროლ სიტყვას ხომ
ქამანდითაც ვერ დაიჭერ!

* * *

ზოგჯერ განწყობას ფასი აქვს,
ლექსი რომ გაგიღიმილებს,
მკითხველმა რომ მოგიწონოს
შენ ძვირად უნდა გიღირდეს.

ლექსი ნამდვილად ლექსია,
გულში რომ ჩამოგიჯდება,
სიხარულით რომ აგავსებს
და კითხვა არ მოგწყინდება.

თუ პოეტობას იჩემებ –
სიტყვა თქვი ნამდვილ ქართულით,
რომ აგიმღერდეს სამშობლო,
იმედით,
– მძიმე წარსულით!

* * *

მინდა რომ ჩემი ყველა ოცნება
ჩუმად ლექსებში ავახმიანო,
როცა სიცოცხლეს ვხედავ ფერებში
სავალი გზებით ერთად ვიაროთ.

რომ გამიღიმოს დილით ცისკარმა,
და ცის სილურჯემ მთები დახატოს,
ცის სილურჯეში და მზის სხივებში
მზიან ფიქრებმა ფრთები გაშალოს.

აი ეს არის ის სიხარული,
როცა სიყვარულს გაგაბედვინებს,
და ყვავილების ჰარამხანაში
დედოფალივით გაგანებივრებს.

რატომ?

ადამიანი საფიქრალს,
რატომ ვერასდროს ივიწყებს,
გულს მოსვენებას არ აძლევს
და დაუკარგავს სიმშვიდეს.

ზოგჯერ უაზრო ფიქრებით,
გათენებამდე იღვიძებს,
ტყუილ-მართალის ძებნაში
აუტკივარ თავს იტკივებს...

დავუყვები სანაპიროს
ზღვა ფეხებთან ტალღებს გაშლის,
თითქოს ჯიბრზე ჩემს ნაკვალევს
წამიერად უცებ წაშლის.

ჩემი ცუბა

წამოწოლილა ფეხებთან ცუბა,
და ნეტარებით კრუტუნებს მშვიდად,
ნეტავ ვიცოდე – რას ფიქრობს ახლა
ან რა სურვილი აწუხებს მძინარს.

მე საფიქრალი აღარ მასვენებს,
ყველა საფიქრალს ფეხდაფეხ დავდევი,
მერე სიმშვიდე მაოცებს მისი,
ის კი მინავლულ თვალებით მიცქერს.

ვხედავ უჩუმრად ჭიშკარს მოადგა,
სულ სხვა სახლიდან გამოპარული,
მასთან საომრად გავარდა ცუბა –
ჭიშკართან ატყდა აურ-ზაური.

* * *

მარტია და ვზის ნაპირზე
მიმოხეზი გაიშალა,
გაპრანჭულმა მიმოხეზმა
ცეკვა აღარ დაიშალა.

* * *

სად გამეპარა ის სიყვარული,
უნუმრად გულში რომ ვატარებდი,
და ვარდის ტოტებს უნაზეს გრძნობით
შენს ფანჯარასთან ვეფერებოდი.

როგორც სტუმარი ვიდექ კარებთან
და განთიადზე ცისკარს ველოდი,
რომ შენთვის მეთქვა, რაც გულში მქონდა –
დაბრუნებამდე დამლოდებოდი.

ბედმა შორეულ გზებით მატარა
და დაბრუნება დამიგვიანდა,
ის სიყვარული გაუმხელელი
გულზე შემომრჩა მწვავე იარად.

ჩემო ენძელუბო

ჩემო ენძელუბო, ჩემო ლამაზუბო,
ჩემი გაზაფხულის მხრებით ნატარებო,
როგორ მინდა გულში ჩავიხუტოთ,
ჩემი მიწის ნამით ნაფერებო.

მოდით ჩემთან ჩუმად მოგეფეროთ,
მერე თქვენეული ეშხით გამიღიმეთ,
რა ხელმა დაგხატათ ასეთი მშვენიერი
თქვენეული სილამაზე ფეხქვეშ გამიფინეთ.

* * *

არ მავიწყდება თბილი კერია –
გარეთ ქარი და თეთრი ფანტელი,
მოგონებები გულს მიხალისებს
ასე მგონია არ დავბერდები.

წლები მაინც თავის გზით მიდის
შორს მიაქანებს ნავალს წარსულში,
გასახსენებლად დამრჩება ალბათ
ის ოცნებები სიზმრად ნახული.

* * *

მე სამშობლოდან არსად წავსულვარ
არ მიძებნია ოქროს ზოდები,
ყოველთვის მისი სუნთქვით ვსუნთქავდი
იმ სიყვარულით ისე ვბერდები.

მოყვრისთვის კარი მუდამ ღია მაქვს –
ტკბილი სიტყვა და ლუკმა ალალი,
ქართველი მუდამ რომ ქართველობდეს –
არ დაგენანოს თბილი სალამი.

ეს შეგონება აკვნიდან მომდგამს
ქართველობაც ხომ მაგას გვახსენებს,
რომ გამყვეს საგზლად გასახსენები,
თუ დაბერებაა დაე დავბერდე.

* * *

ღმერთო, გთხოვ, ისე ნუ დამაბერებ
მტყუან-მართალი ვერ გავარჩიო,
უცებ გამექცეს ისეთი სიტყვა,
ცხარე ცრემლებით სხვა ავატირო.

გულში რომ დამრჩეს დიდი ტკივილი,
ღამე უძილოდ რომ გავათენო,
და უნებლიედ დაცდენილ სიტყვას
თბილი სიტყვებით რომ დავაბრუნო.

მე ჩემს სიცოცხლეს ფასი დავუდე,
და ოცნებები დამამუნჯებენ,
ღურჯი აპრილის მოგონებები,
ისევ იმ გზებით დამაბრუნებენ.

გაზაფხულის დილა

რა ღამაში დილა არის,
 მზის სხივები კოცნის ფანჯრებს,
 და 8 მარტის ღამაშ დილას
 ყვავილები მიღამაზებს.
 ამ ჩემს ეზოს მოსდებია,
 ენძელების მთელი ჯარი,
 თავს იწონებს ყოჩივარდა,
 შემომიღო გულის კარი.
 ფერები და რა ფერები?!..
 მოეძალა ბაღში კვირტებს,
 ყვავილების სიღამაზე
 საკოცნელად მათთან მიწვევს.
 აქ ხის ტოტზე ჩიტუნები
 შემომჯდარა ყველგან გუნდად,
 ამ პატარა ალქაჯებმა
 გულს სიამე დამიბრუნა.
 რა ღამაში ფერებია?!..
 გულს თუ ჰკითხავ, სხვა რა უნდა,
 ის წარსული ბავშვობიდან
 ხელმეორედ დამიბრუნდა.
 ერთი წამით დამავიწყა,
 წლები რომ მხრებზე მაწვეს,
 რა სიბერე, რის სიბერე! –
 გაზაფხული მიღებს კარებს.

* * *

სიცოცხლევე ჩემო, შენი მონა ვარ,
ამქვეყნად მხოლოდ შენით ვიარე,
ყველა ფიქრი და ყველა ოცნება
ლექსში სიმღერად ავახმიანე.

ზოგჯერ ზამთარი იდგა ჩემს სულში,
თვალეები ცრემლებს დაუნამია,
მაშინც შენ იყავ ჩემი მეგზური
არც არასოდეს მიღალატია.

ახლა, როდესაც წლებების მიღმა,
ისევ მაწვალებს ფიქრი წარსულის,
ახლაც ისევე მეიმედები,
ისევ მეძახის დრო გარდასული.

თითქოს დამიდგა დრო შეჯამების,
იმ ტკივილისთვის შური ვიძიო,
ფიქრი სათქმელი და არსათქმელი
უჩუმრად გულში გამოვიტირო.

პატარა ნიტას

წლები სწრაფად გარბის,
ღმერთი განაგებს ბედს,
თუ ბედნიერი გზებით იარე –
წყალობად ჩაუთვალე ღმერთს.

თუ დაიბადე ბედნიერ ვარსკვლავზე
ადარაფრის გქონდეს დარდი,
ისევ და ისევ ღმერთმა მოგმადლოს
შენს სიცოცხლეს რომ ჰქონდეს აზრი.

იძინე ტკბილად დედის უბეში,
მისი ალერსი გათბობს,
ჩემო პატარა ნიტა,
ჩემო პატარა ქალო!

მოსაგონარი მეგობრებს

შემომეცალნენ მეგობრები, ცოტანი დავრჩით,
და ზოგჯერ ფიქრი გამექცევა მოსაგონარი,
ხან გამეცინა, ხანაც ცრემლი მოადგა თვალებს
და სიყვარულით გავიარე შორეულ გზებში.

ჰოი მეგობრებო, მაქეთ ბევრნი ხართ,
აქეთ კი უკვე დავრჩით ცოტანი,
მაგრამ მეძალვის არდავიწყება
ლამაზ წარსულის მოსაგონარი.

ვინც დავრჩით, ზოგჯერ ისევ გიხსენებთ
გული ბავშვივით იწყებს ფორიაქს,
მერე უჩუმრად დავიფანტებით,
სათქმელი კიდევ დავგვრჩა, მგონია!..

გაზაფხულია

სანამდე ვივლი ამქვეყანაზე,
გაზაფხულს მუდამ მოვეფერები,
როცა სიცოცხლე იფეთქებს კვირტში,
სიყვარულს ვერსად ვერ გავექცევი.

გაზაფხულია, ცის სიღურჯეში
სხვადასხვა ფერი ერთად ნავარდობს,
რა ვქნა, თუ გული ამიმღერდება
და სხვანაირად ვხედავ სამყაროს.

ღმერთო, მომეცი ისეთი ძალა
რომ ქვეყანაზე ერთხანს ვიარო,
გაზაფხულს ვუცქერ განთიადისას –
ლექსში სიმღერად ავახმიანო.

როგორც თქმულა

როგორც თქმულა ეს სიბერე
„ძუ მგელივით მოგვიხტება“
ზოგჯერ ისე გაგიმეტებს
სიცოცხლე არ მოგინდება.

დაგიკარგავს სიმშვიდეს და
შეგატოვებს დარდთან მარტო,
თუნდაც წამით დაგიბრუნოს
წარსულიდან რასაც ნატრობ.

ჩამოვუჯდე სკამზე აკვანს,
აგიმდერდეს იავნანა,
დააბრუნოს მოგონება
შორეთში რომ წარსულს დარჩა.

მაგრამ რა ვქნათ სინატრული
არცთუ ხშირად გვისრულდება
და სარკმლიდან უღიმღამოდ
კვლავ სიბერე იცქირება.

გახსოვდეს სამშობლო

ვუძღვნი ჩემს პატარა შვილთაშვილს
ლივის, რომელიც დაიბადა
ამერიკაში და იქაური მოქალაქეცაა.

ამერიკის ქალბატონო,
პაწაწინა ჩემო ლივი,
გახსოვდეს რომ ქართველი ხარ,
სადაც იყო, სადაც ივლი...

არ მოგხიბლოს ცათამბჯენმა –
სახურავი ცას რომ წვდება,
გაიხსენე შენი ქვეყნის
ყვავილების ფოთოლცვენა.

ეს ღამაში ლურჯი ზეცა
მოხატული მინდორ-ველი,
სადაც იყო სულ გახსოვდეს –
რომ სამშობლო მუდამ გელის.

ამერიკა ქვეყანაა
ძალზე დიდი, თანაც „ცივი“
გახსოვდეს რომ ქართველი ხარ!
ქვეყანაზე სანამ ივლი.

რა კარგი ხარ, რა ლამაზი!!!..
შენში ვხედავ ქართულ ღიმილს,
მინდა ღმერთმა დაგანათლოს
სილამაზეც, სიბრძნეც, ნიჭიც.

ამერიკის ქალბატონო,
პაწაწინა ჩემო ღივი,
სიყვარული სანთლად გენტოს
სადაც იყო, სადაც ივლი!

მადლობელი ვარ

რამდენჯერ გითხრა მადლობა,
ღმერთო, ამქვეყნად მოსვლისთვის,
ხან დარდმა ხელი დამრია
გამიცინია მოყვრისთვის.

ცხოვრების ორომტრიალში
ხან ვარდებს ვკრეფდი, ხან ეკაღს,
მაგრამ სიცოცხლე ხიბლია
ვერ გაიმეტებ ადვილად.

დრო გარბის, არ გეკითხება –
სად დაესმება წერტილი,
და მოგინდება სიმღერა
გულწრფელი –
თეთრი გედივით.

* * *

რამ გამახსენა ძველი წარსული,
ახალი განცდით, ახალ ფიქრებით,
და გავისხენე საღამოები
შენი მოძღვნილი ნაზი იებით.

ისევ ვისხენებ იმ ლამაზ დღეებს,
გულში რომ მიზის ნატვრისთვალევით,
რომ გველოდება ის მაგნოლია
მწვანე ფოთლებით, თეთრი ყვავილით.

არა მგონია დრომ დამავიწყოს,
მაინტერესებს შენ თუ იხსენებ,
და გაზაფხულზე ლურჯი იების
ნატვრით, იმ დღეებს კვლავ გავისხენებ.

საგალოგელი დედას!

გაზაფხულდა, გაზაფხულდა, დედა,
ბუჩქებიდან იმზირება ია,
რომ იცოდე, როგორ მენატრები,
ჩემს სიმღერას შენთან ვატან ნიავს.

მონატრება გულს შეადნა სევდად,
განთიადზე ვეგებები ცისკარს,
ისე, როგორც ბავშვობაში იყო –
ისევ შენი მოფერება მინდა.

ისე ჩუმად გამეპარა ბინდი,
აქ ჩემს სათქმელს თითქოს მთვარე ამბობს,
მთვარის სხივებს შემთან ვატან, დედა,
სიყვარულით გაჯერებულ ამბორს.

გაილია ფიქრში თეთრი ღამე,
როგორც აღრე დაგიკრიფავ იებს,
როცა მიჭირს, ისევ შენ გეძახი –
ცის სიღურჯე შენი თვალით მიმზერს.

სიზმარშიაც თითქოს გელოდები,
ხან მგონია შემომიღებ კარებს,
სანამ ვივლი ქვეყანაზე, დედა,
შენს საფლავზე აგინათებ სანთლებს...

* * *

ჭირვეულია ლამაზ ქალივით,
ზოგჯერ მშვიდი და ზოგჯერ აშარი,
გამოადვიძებს ირგვლივ მიდამოს,
მთებს შეუყვება ქარის ფარფატი.

მარტი ყვავილებს ფეხქვეშ გაიგებს,
მიეძალება ნატვრისთვალივით,
და ლაბირინთის ციურ სიღურჯეს
ტანზე მოირგებს ლამაზ ქალივით.

სიღურჯეს მარტი აპრილს მიუძღვნის,
ყოჩივარდები ჩაილიმილებს,
თეთრი ენძელა კაბის შრიალით
ზამთრის ძილიდან გამოიღვიძებს.

მერე კი მარტი თეთრი ყვავილით,
ლამაზ საკაბეს ტანზე მოირგებს,
და ყურძნის ნაზი თეთრი ყვავილი
ზამთარს ცრემლებში გამოიტირებს.

თეთრი კაბა

დღესაც ხშირად მახსენდება,
საყვარელი თეთრი კაბა,
ყვავილებით გაწყობილი
ხსოვნაში რომ დღემდე დამრჩა.

თეთრი კაბის სიყვარული,
რა ვქნა, გულში ისევ ანცობს,
და ყოველი გახსენება
სხვანაირად ჩემს გულს ათბობს.

ბებია რომ დამლოცავდა,
„თეთრი კაბით დამიბერდი“,
ვბრაზდებოდი, – დაბარებას
არასოდეს ვაპირებდი.

მერე როცა, – არც უკითხავს
შემერია თმაში თეთრი,
ვიხსენებდი, – დაბერებას
არასდროს რომ ვაპირებდი!

დაგელოდევი

რა დამავიწყებს იმ ღამაზ წარსულს,
დიდხანს ვიარეთ ღამაზი გზებით,
ის სიყვარული შენ რომ მაჩუქე –
გულში შემომრჩა სიბლით და გზნებით.

შენაც ელოდი ჩემგან სიყვარულს
აღბათ იმიტომ გამიხანგრძლივე,
რა ვქნა თუკი შენ ჩემად გიგულე
და გულის კარი ფართოდ გაგიღე.

მე ახლა მარტო ვხვდები განთიადს,
ჩემში ისევე ღოდინად დარჩი,
ვფიქრობ, ნეტავი მოხვალ თუ არა?!..
დაგელოდევი კუბოს კარამდი.

ჩემს მეგობრებს

ბევრი ღამაში დღეები მახსოვს
დედის ზღაპრიდან გამოყოფილი,
მერე დიდობას ავუბი მხარი
და სხვა ფიქრები დამრჩა წარსულში.

არც არასოდეს არ ვიფიქრებდი
ვინმესთვის მეთქვა აუგი სიტყვა,
თუკი რაიმე მეწყინებოდა
არ ვიტოვებდი არასდროს დიდხანს.

ხშირად ვიხსენებ ჩემს სამეგობროს,
ის სიყვარული გულში მინთია,
ნეტავ ვიცოდე, როგორ ხართ ახლა?!..
ეს მონატრება თქვენზე ფიქრია.

მონატრება

ბევრჯერ რამდენი რამ მინატრია,
გონებაში რომ მიფერებია,
ვიცი და მაინც ვნატრობ და ვნატრობ
ასრულება რომ არ უწერია.

მინდა, რომ ვიყო ისევ პატარა
გულზე მიმიკრას დედამ ამბორით,
ზოგჯერ ხმამაღლა გულს დასცდენია
რასაც ვფიქრობდი, რასაც ვნატრობდი.

მინდა, ჩემს გვერდში მყავდნენ ისინი,
ვინაც მიყვარდა და ვენდობოდი,
სიხარულის და აღტაცებისას
თავდავიწყებით ვეფერებოდი.

იმ სიხარულის ხიბლით დავდივარ,
როცა მზე მედგა მაღლა ზენიტში,
ახლა მარტო ვარ ერთი ფოთოლი
დამტვრეულ ტოტზე შემორჩენილი.

დედავ ძვირფასო

დედავ, ნათელო ჩემი ცხოვრების,
ჩემი ჯილაგის მუხავ და ფესვო,
ამ ქვეყანაზე დასაფიცარად
ყველაზე ტკბილო და ერთადერთო.

მე ლოცვასავით მომყვება შენი,
იყავ ძლიერი, იყავ მართალი,
დავალ ამქვეყნად ოცნებით საესე
ერთი ლექსივით ალალმართალი.

მე შენი სისხლი მიღულს ძარღვში და
დედავ, ოცნება დამაქვს რამხელა,
შენ მე მაჩუქე ყველაზე ღიდი –
რასაც სიცოცხლე ქვია სახელად.

შენ გამიმრთელე ცეცხლის ღაღარი,
დაიწვას ყველა ომის მომგონი,
რომ ობლის კვერი მეცხო ამიერ
არ დამრქვეოდა მაინც ობოლი.

დედავ უტკბესო, დედავ ძვირფასო!
რამდენსაც ვფიქრობ, თან მენანება,
რომ ერთი სიტყვაც ვერ ვთქვი ისეთი,
რომ გეკადრება!

გაზაფხულს შვენის ვარდები

ვარდებო, წითელფერებო,
გულის ფანცქალით გელოდით,
სულ სხვანაირად ვივსები
გაზაფხული რომ შემოდის.

მიყვარს ვარდების ღიმილი
ნიავზე როცა კეკლუცობს,
ყვავილთა დედოფალია
პირველობასაც ჩემულობს.

მუდამ იყო და იქნება
გაზაფხულს შვენის ვარდები,
როცა გარემოს აავსებს
ვარდების ნაზი სურნელი.

ვარდობა, ახალგაზრდობა
სულში იმედებს მაპკურებს,
და მზე სხივებად გაშლილი
ციდან ღიმილით დამყურებს.

* * *

გამიგრძელდა ცხოვრების გზა
დავდევი სიტყვას გზა და გზა,
ხან მგონია მეფერება
სიტყვით,
– სუფრის თამადა.

ხან კი სევდა უმიზეზოდ
ვხედავ მომეძალება,
ვინც აქამდე გულში მეჯდა –
ძლიერ მომენატრება.

მონატრებას მოსდევს ფიქრი,
ვხედავ არ მომასვენებს,
იმ წარსულის მოგონება
უკან კვლავ მომახედებს.

მომინდება გავიარო
წუთისოფლის ბილიკზე,
სიცოცხლე ღირებულია,
თუნდაც ძვირად გიღირდეს.

როცა იოლია ცხოვრება

როცა შუბლის ძარღვი წყდება
იოლია ცხოვრება,
ამის თუ არ გეშინია
ნუღარ ელი ცხონებას.

ადამიანს მხრებით დააქვს
ცოდვა მაღლი გზადაგზა,
დაეფინოს გზის სავალზე
მაღლი ფიანდაზადა.

მაღლისა და სიკეთის ქმნა
ბედნიერთა ხვედრია,
ვისაც ამ გზით გაუვლია –
მისთვის არაფერია.

ვინაც გულში ძეგლს დაუდგამს
სამშობლოს დიდ სიყვარულს,
ამას სიკეთის ქმნა ჰქვია
და მის გზებით სიარულს.

ადამიანი ...

როცა სიცოცხლეს თავისი მიზანი აქვს,
მაშინ გათენებაც გიხარია,
სილამაზეს თავის ფასს დაუდებ,
თითქოს არასდროს გიდარდია.

მაგრამ გინახავს ადამიანი,
მუდამ ჰაიჰარად, მუდამ უდარდელად?
არა მგონია, ასეთი არ არსებობს
ვინ იცის, რამდენჯერ რამდენი რამ გვინატრია.

ადამიანს საფიქრალი არასდროს დაეღევა
თითქოს დარდთან სანაძლეო დაუდვია,
მაინც მხნედ არის, მომავალს გასცქერის
გული სიყვარულით აუვსია.

სწორედ ეს არის მისი ღირსება –
ბედნიერების თანაზიარი,
უნდა იბრძოლო გამარჯვებისთვის
მე ასეთად მწამს ადამიანი.

* * *

ობლობამ ფიქრი ადრე მასწავლა,
ადრე ავუღე ცხოვრებას ალღო,
ბავშვობაში რომ გამხადა დიდი
და ვარდისფერში ვხედავდი აწმყოს.

დიოგენით ანთებულ სანთელს
დრომ სამომავლოდ დაუდგა ძეგლი,
და ყველაფერი დაგვგებე ისე –
რომ მომავლისთვის ამეწყო ფეხი.

როცა ფიქრებში ვაჯამებ წარსულს,
არ მინდა რამე თავს დავაბრალო,
ერთში დავრწმუნდი,
– კაცის ცხოვრებას,
როგორც ღმერთს, უნდა ისე ააწყობს.

შეხვედრა ნარსულთან

რა დაგავიწყებს სიამოვნებას,
ძველ მეგობარს რომ გზაში შეხვდები,
და დაუვიწყარ იმ მოგონებებს
წლებების შემდეგ დაუბრუნდები.

როცა იხსენებ იმ ლამაზ დღეებს,
ახალგაზრდობის ხიბლი რომ ახლავს,
თითქოს ისევე დაპატარავდი
და იმ ძველი გზით დადიხარ ახლა.

როცა ისევე იმ გზას დავევები,
ის მოგონება სულს რომ ამივსებს,
ღმერთო, იმ დღეებს ნუ გამიხუნებ,
იმ სილამაზეს ნუ დამავიწყებ!

* * *

პოეტს სათქმელი არ დაეღევა,
ხან ლამაზ სათქმელს გულში აგინთებს,
ხან დაგაბრუნებს ყველა სათქმელთან
და მოგონებებს ფეხქვეშ გაგიფენს.

ჰოი, ცხოვრებავ, ზოგჯერ მზაკვარო,
გასახსენებლად დაუვიწყარო,
როცა ტკივილად გულს დააჩნდება
გაუსაძლისად ხედავ სამყაროს.

ჩვენ ღმერთის ნებას ვემორჩილებით,
ამქვეყნად მოსვლით ყველა მავანი,
ყველა სატკივარს რომ მოერევა
ასეთად შექმნა ადამიანი.

მსოლოდ ფრაზა

ყველაფერს თავისი ხიბლი აქვს
ვერსად ვერ დაემალეები,
მოგთხოვს პასუხის გაცემას
არ მოგცემს სურვილს გამხელის ...

ვიარე, ვერსად ვიპოვე
წამალი გასაკვირველი,
დავურიგებდი სუყველას –
სიძულვილს დავავიწყებდი.

რა ჯობს რომ გააკეთებ
კარგი მეგობრის არჩევანს.
მასაც რომ ხელეწიფება
ცუდის და კარგის გარჩევა.

იქ პოვებ ბედნიერებას –
სიცოცხლე სულს რომ გილაღებს,
მაშინ რა გასაკვირია –
სამშობლო რომ უნდა გიყვარდეს?!

* * *

ამბობენ ლექსი გულს ეფერება,
და როგორც ჩანგი სიმებს ჩამოკრავს,
გულს გაგინარებს, სულს გაგინათებს
როგორც ჩიტების დილის გალობა.

მეტი რა მინდა, მეტს რას ვინატრებ,
სიტყვას არასდროს დამიგვიანოს,
ვიღაცამ რომ თქვას ეს პოეტია
და სავალ გზებზე მშვიდად ვიარო.

რამდენჯერ დამით ლექსთან ჭიდილში,
დამთენებია ღამე უძილოდ,
და ყველა სურვილს ლექსებს ვანდობდი
ვერ ვახუმებდი ლექსებს უმისოდ.

შემოანათებს დილის ცისკარი,
და ყველა სტრიქონს გამიხალისებს,
ღამაზი ლექსი მეწვევა მძევლად
და სიყვარული კარებს გამიღებს.

* * *

ამდენ ხანს ყოფნას სულ არ ველოდი –
ღმერთმა წლებით დამასახუქრა,
ხან კი მგონია, რომ ცას მოპარა
და უკვდავების ნამი მაპკურა.

ხანაც მაფიქრებს ადამიანის
გაოცებას რომ არ აქვს საზღვარი,
დგესარ სამკუთხა გზაჯვარედინზე
– სად დასრულდება გზა და სავალი?!..

მე ეს წლები ლექსში განვბანე
და სიყვარულით გავანებივრე,
რას იტყვის მერე შთამომავლობა
ამ ქვეყნიდან რომ გავინაპირებ?

* * *

ზოგჯერ ვიგონებ ლამაზ გაზაფხულს –
ბაღში ვარდების აფერადებას,
და იმ წლებების მოგონებები
რომ მაკავშირებს იმ ჩემს წარსულთან.

თითქოს ის იყო დრო შეჩერების
დასავიწყებლად რომ ვერ ვიმეტებ,
და ზოგჯერ თითქოს ბრუნდება უკან
იმ ლამაზ დღეებს გამიღიმილებს.

განვლილ ცხოვრების იმ მონაკვეთზე
როს სილამაზე მედგა ზენიტში,
ყოველთვის მახლავს არ დავიწყება
და ჩემეული ფიქრი მერმისში.

კვლავ გაიშლება მაისში ვარდი
კვლავ დააბრუნებს ლამაზ ვარდობას,
ერთი კი ვიცი, არ დაბრუნდება
ჩემი ლამაზი ახალგაზრდობა.

შემოდგომის დღეებია

შემოდგომის დღეებია
ქარი ფანტავს ყვითელ ფოთლებს,
მთის კორტოხზე მზე იცინის
და სიმშვიდეს ვეღარ პოვებს.

გაიცრიცა ცის სილურჯე,
და გახუნდა თითქოს მთები,
შემოდგომამ ამ ყველაფერს
შეუცვალა ყვითლად ფერი.

აქანავებს ქარი ტოტებს,
გარინდულა ყვითელ ფერში,
შემოდგომის დღეებია
ქარბორბალა დაქრის ტყეში.

ჩუმათ სათქმელი

როცა მეოთხე წიგნი დავხურე,
ვოქვი, ყველაფერი მორჩა, გათავდა,
მე აღარაფერი არ მაკავშირებს,
აღარც ლექსთან და აღარც კალამთან.

მაგრამ რაღაცა ისევ მაწვალებს
და სულში ლექსი იწყებს ფორიაქს,
ყველაფერს ისევ ვიწყებ თავიდან,
თურმე სათქმელი კიდევ მქონია.

თუ გამოჩნდება ერთი მკითხველიც,
და არ ჩამითვლის მოხუცის ბოდვად,
მაშინ რა მიჭირს, თუ მეწერება
და დამიამებს სულიერ შფოთვას.

ლექსო, გაგიღე გულის კარები
და ჩვილ ბავშვივით გაგანებივრე,
რა ჰქვია იმას, როცა ასაკში
ლექსი კალამს რომ აგაღებინებს?!..
სიყვარული!...

ნუ გგონია დაგიბერდი

გულო ჩემო, გახალისდი,
ძველებურად ამიმღერდი,
ის წლები ვერას მაკლებს
თუ გგონია დაგიბერდი ...

ისევ მიყვარს ცის სიღურჯე
ყვავილების ნაზი ფერი,
მიხარია გათენება
დაღამებას ისევ ველი.

თუ ჩემს ირგვივ სიწყნარეა
და სიჩუმე უშფოთველი,
ამის მეტი რაღა გინდა
გულო, ისევ ამიმღერდი.

ისევ ვაწყობ ახალ გეგმებს
საკეთებელს რა დამიღვეს,
გთხოვ, ქვეყანა ერთხელ კიდევ
დამანახე ვარდის ფერში!..

სიყვარულით განვლე გზები
და ის სითბო მაძლევს ძალას,
სიყვარულს კი სიბერემდე
სხვანაირი სიტკბო ახლავს.

ადამიანი

ადამიანი მოდის და მიდის,
მის მოსვლას უნდა დააჩნდეს კვალი,
თუ კი სიცოცხლე მერეც გრძელდება
მის მოსვლას მართლაც ჰქონია აზრი.

წუთისოფელი მართლაც წუთია
მის სრბოლას უნდა აფუბათ მხარი,
თუ ფასს დაფუდებთ ამქვეყნად მოსვლას,
დაგვრჩება ბევრი მოსაგონარი.

მოგონებებში ცოცხლობს ყოველი
მის გაკეთებულ საქმეს ვაფასებთ,
იმიტომ გვქვია ადამიანი
სულში ნათელი სხივი ანათებს!!!.

* * *

გახაფხულის ქარია და არემარეს კოცნის
ის სილაღე რაც რომ მქონდა დამიბრუნდა მგონი.

აფერადდა ჩემი ბალი, ნაირ-ნაირ ფერში,
თეთრი ფერი, ალისფერი, ო რა რიგად შვენის.

ეს ყვავილთა პარამხანა გაფენილა გზებში,
მომესალმა ნაზი სიო და მომხვია ხელი.

გახაფხულდა, მზე იცინის ყვავილების ფერში,
მთის კალთებზე თოვლის ფაფახს ადნობს სითბო მწველი.

მორაკრაკებს წყაროს წყალი, მოღუდუნე ხევში,
და ჩაკვრია საალერსოდ გზად მიმავალს კლდეში.

და კლდის თაგზე არწივები, ფრთებს შლიან და ანცობს,
ენძელეები გზის პირებზე ცეკვავენ და ლაღობს.

მარტი მაინც მარტია და ზოგჯერ გაფიცხდება,
მაგრამ წყენა მარტისაგან, მალე გავიწყდება.

გახაფხულდა, არემარე ყვავილებით სუნთქავს
და ზამთარი თოვლთან ერთად, სადღაც გაპარულა.

ჩემი ქალი

მე ჩემს პატარა ედემში ვცხოვრობ,
მისით ვსუნთქავ და მისით ვმაისობ,
ყველა ფიქრების გამზეურება,
მე მასთან მიმაქვს, მისით ვხალისობ.

როცა აპრილი მეწვევა ცელქად,
და შემომაყრის ყვავილის სუნთქვას,
მე მაშინ მინდა ვიყო პოეტი,
ამ სილამაზეს სიმღერა ვუძღვნა.

თუ ჩემში რამე ჩუმი ფიქრია,
მინდა ჩემს ედემს გავუნაწილო,
და სიყვარულის ვუძღვნა სიმღერა
და სილამაზე მანაც გამიყოს.

* * *

რადგან სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა,
მინდა ერთი რამ გავითავისო,
დროს გავუფრთხილდე, დროს მოვეფერო,
უჩემოდაც რომ გავიხანგძლივო.

დროების სრბოლა

ვიციტ დრო სწრაფად რომ გარბის,
და ჰაი-ჰარად ვუყურებთ,
მის დაჩქარებულ რბოლაში
დროს არასოდეს გვიბრუნებს.

გითვლის და მუდამ გეძახის
გვაჩქარებს – რა გზით ვიაროთ,
დაკარგულს ვერ დავაბრუნებთ,
რომ აზრი გაგიზიაროს.

მინდა სათქმელი დროზე ვთქვა,
მერე ხომ დამიგვიანებს,
ამ ჩემს საფიქრალს ნეტავი
სხვები თუ გაიზიარებს?

როცა მემღერება

ღამეა და ცის კიდურში
ვარსკვლავები ირეკლება,
მე კი ვზივარ ჩუმაღ, მარტო
და სანთელი იღვენთება.

იცინიან ვარსკვლავები
მიხალისებს სიტყვას სათქმელს,
ფანჯარაში იცქირება
და მიამბობს ახალ ამბებს.

მე კი ლექსად მეწერება
ღამაზ სიტყვებს ვძერწავ ლექსში
ღიმილს ვერსად ვერ წაუვალ
მემღერება -
კიდევ ვმღერი!

* * *

როცა ასაკი მოგეძალება
და შეაჯამებ განვლილ ცხოვრებას,
ერთი გახსოვდეს, კაცის სიცოცხლე
რომ არასოდეს განმეორდება.

მინდა ვთქვა

როგორ მინდოდა მეთქვა სათქმელი –
დავიწყებას რომ არ მიეცემა,
ხანჯალზე უფრო, ზოგჯერ სიტყვა ჭრის
და საგულისხმო ამბავს მიყვება.

ჰოი, სათქმელო, და არ სათქმელო
ზოგჯერ უთქმელად გადაკარგულო,
ისევ მეწევა ფიქრები შენკენ
და მინდა გულში ნამი მაპკურო.

ღამაზ ფიქრებს და ღამაზ ოცნებებს,
გულში ვხატავდე ფერად სანთლებით
დილის სინაზე საგზლად მიმყვება
როგორც მაისის თეთრი ვარდები.

განაკუთრებით ველოდი მაისს
და აალებას წითლად ვარდების,
იმ ჩემს ფიქრებში ვერასდროს წავშლი
როგორც სიმრავლეს დათვლილს წამებით.

მინდა გიმღეროთ

ისე ვიარე ამქვეყნად,
მუდამ გულისხმას ვუსმენდი,
ხან ტკბილად გამიღიმებდა,
ტკივილსაც მწარედ ვითმენდი.

როცა ლამაზ ლექსს დავწერდი,
ბავშვივით ავტირდებოდი,
და ღმერთს მადობას ვწირავდი,
სიამით გავიღიმებდი.

ასე ყოფილა, იქნება,
ყვეაფერს თავის ხიბლი აქვს,
ხან თოვლში, ხანაც წვიმაში
გზა ფეხით გადამივლია.

ზოგჯერ სულ ვიდაც უცნობი,
ცრემლებით დამიტირია,
სიკეთე დაუმაღლებად
უშურველად გამიცია.

ჰოდა, ეს არის რაც არის!
ლექსებში ჩემი გულია,
სანამ ვარ, მინდა გიმღეროთ –
ლექსი ხომ სიყვარულია!

დედას

მრავალი წელი გავიდა, დედა,
და ჩემს ფიქრებში ისევ გიხსენებ,
ერთში ვრწმუნდები, ფიქრებს დედაზე
დასავიწყებლად ვერ გაიმეტებ.

მე შენგან სიტბო და სიყვარული
დღემდე კარდაკარ ისევ დამყვება,
ამ გახსენებას არ უნდა ფიცი,
რადგან ჩემი დღე შენით იწყება.

ზოგჯერ ისევე გეძახი – დედა,
რომ დამიამო გულში ტკივილი,
და როცა ჩემთან სიზმარში მოხვალ,
ისევ შეგხვდები თბილი ღიმილით.

მე მოფერებას შენში ვეძებდი
შენთვის მე მუდამ ვიყავ პატარა,
ცხოვრებამ რთული გზაჯვარედინით
საკმაოდ გრძელი გზებით მატარა.

ახლა ჩემს სულში შემოდგომაა,
ზოგჯერ გნატრობ და კვლავ შენთან მინდა,
მე ისევ გულში ჩაგეხუტები,
შენს გულთან ახლოს ვიქნები მშვიდად.

* * *

გაიცრიცება დილით ცისკარი
და ჩიტებს ცველქად აახმიანებს,
სილამაზეში, სიოს ჩურჩულში
მერცხლები ბარტყებს დააფრთიანებს.

როცა მეძახის ბუდეშურები,
მეც დილით ბაღში მივეშურები,
მინდა დამათროს დილის სიმშვიდემ
და სიყვარულში გავეჯიბრები.

როცა ფიქრები მომეძალება
და გულში სიმებს ამიხმიანებს,
ამ სილამაზეს ლექსებში ვაქსოვ
და სათქმელს აღარ დამიგვიანებს.

რა დამავინწყებს

რა დამავინწყებს შარშანდელ ზაფხულს,
ერთად ვუსმენდით ტალღის ფორიაქს,
ასე მგონია, კვლავ დაბრუნდება
ის სილამდე და ზღვის სიმფონია.

ისევ მეძახის ის სანაპირო,
სადაც პირველად შევხვდით ერთმანეთს,
რომ დაგვეუფლა ლამაზი განცდა
და გახსენება გულს დამიამებს.

მას შემდეგ მხოლოდ წელი გასულა
მე კი მგონია ათჯერ მეერთე,
მე კი გეძებდი, ზარებს ვგზავნიდი –
შენ კი პასუხი ვერ გაიმეტე.

ამ მოლოდინში დრო გაიპარა,
ჩემთვის იმედის ტაძარს ვაგებდი,
და არ მეგონა ამ ყველაფერში
დაგვიანებას დამაბრალებდი.

რადგან სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა,
იზრუნე დატოვო კვალი,
შთამომავლობამ, ვინც უკან მოდის
ყველას გაუსწოროს თვალი.

შენზე თქვან იყო ადამიანი –
სიტყვის პატრონი და ნაღდი,
ყველამ თქვას, ცხონდესო
– მისი გამზრდელი,
გამზრდელი კაცური კაცის!

გაფერადება გულში სინათლე
და სიყვარულის ჯერი დადგება,
ცხოვრებას სულ სხვა თვალთ ვუცქერი
და ტკივილები დამიამდება.

გულში სიყვარულს ტაძარს ავუგებ
სულ სხვანაირად გაიმამისებს,
სიხარულს სხივი მოეფინება,
დარდიან ფიქრებს გაინაპირებს.

ეჰ, რას გაუბეზ ცხოვრებას

ასე ყოფილა ცხოვრება,
ხან ვარდს დაგიკრეფს, ხან ეკაღს,
ხან გაგიღმეს, ხანაც კი
მარტოს დაგტოვებს დარდებთან.

გაებუტები სიცოცხლეს,
ადარ აფასებ ჩირადა,
მაგრამ ვერ შეეღევი
მზად ხარ ატარო ტვირთადა.

ვალდებული ხარ იცოცხლო,
არაფერი თქვა აუგად,
ხან სიხარული გაგათბობს,
ხან ვერ ისვენებ დარდისგან.

ზოგჯერ ცხოვრება წაგაქცევს,
დაგჯახნის გაგატიალებს,
სიცოცხლეს გიქცევს წამებად,
უკუღმა დაგატრიალებს.

ხან უცებ გაგიღიმილებს
ოცნებით ცაში დაფრინავ,
გაგილამაზებს სიცოცხლეს
დაგიცავს ყველა დარდისგან.

არ მოგასვენებს ფიქრები,
ყველაფერს აწონ-დაწონი,
ყველანი მიდი-მოდიან
ღმერთის დაწერილ კანონით.

ცუდიც და პატიოსანიც
ბოლოს ღმერთს შესთხოვს შენდობას,
ვის როგორი გზით უვლია –
გაითავისოს ყოველმან.

ეჰ, რას გაუგებ ცხოვრებას,
ვის რა გზებით აქვს ნავალი,
ყველას თავისი გაზაფხული აქვს,
ზამთარი გადასატანი.

* * *

ჩემს ეზოში ბილიკებმა
ლურჯი ია დაისია,
მოციმციმე სილურჯეში
თოვლმა მთებზე აიწია.

მერე როცა მზემ სხივებით
ყონივარდას გაუღიმა,
სილამაზის ლაბირინთში
ენძელეები გაუფინა.

რა ლამაზი დილა არის
ყვავილები ცელქად ანცობს,
და ყვავილთა ჰარამხანა
დიდ სიყვარულს გულში ათბობს.

გაზაფხული შემობრძანდა,
რა ლამაზი მაისია
ხის ტოტებმა საოცარი
ყვავილები დაისია.

მაისია

მზემ ფანჯრიდან გამიღიმა,
შემომიღო გულის კარი,
აყვავილდა აფერადდა
ყვავილების ნიავექარი.

ისე როგორც არასოდეს
ვარდმა ნაზად გამიღიმა
და ლამაზი ფოთოლცვენა
ფიანდაზად დამიფინა.

მაისია, გული ხარობს
გაზაფხული მიღებს კარებს,
და ზამთრიდან გამოყოლილ
სევდას, შორს-შორს მიაქანებს...

ჩემი სოფლის შარას

დავუყევი სოფლის შარას
აქეთ-იქეთ ბაღებია,
ყვავილებით მოფენილი
დახატული ედემია.

გზის პირებზე ოქროსფერი
მიმოხები იცინიან,
თითქოს მათი მესტვირე ვარ
და ამიტომ მიღიმიან.

ცის კიდური ალიონზე
სილურჯეში ჩახატულა
და ყვავილთა დედოფალი
სიყვარულით განაბულა.

განთიადზე ამ ჩემს სოფელს
თავზე თეთრი ნისლი ხურავს,
აქანავებს ქარი ტოტებს
და ყვავილთა ეშხით სუნთქავს.

ყველგან საახალწლო ღიმილია

რა ლამაზად თოვს,
ციდან ფანტელი ცვივა,
გარინდებულა ტყე –
წივწივებს ჩიტუნები, სცივათ.

ყველგან საახალწლო ღიმილია,
სითეთრეში შემობრძანდა დღე,
ლამაზად მორთულ-მოკაზმული
გაპრანჭულა ნაძვის ხე.

ყველგან სტუმრების მოლოდინია,
დალოცონ ახალი წლის დღე,
ბუხარში ნეკერი ხრჩოლავს
მწვადები შიშხინებს ზედ.

უკეთესი მომავლის რწმენით
თენდება ახალი წლის დღე!
ღმერთო, დამილოცე საქართველო!
ვუსურვებ ბედნიერ წელს!

შემოდგომა კახეთში

შემოდგომის ფოთოლცვენამ
სათქმელი კვლავ მომაწყურა,
მიუხურა ზაფხულს კარი
და სიხუმე განაბულა.

ყვავილების ნაცვლად ხიდან
იცქირება ხეხილები,
ლოყაწითელ ვაშლს და ატამს
როგორც ბავშვი ვეფერები.

ყველა ბაღში გაკრეფილა
და ამ ფუსფუსს გულში ვხატავ,
ყველა ჩქარობს, გარბის სადღაც
ეზიდება ნაამაგარს.

მალე ყურძნის დროც დადგება,
მასაც დიდი შრომა ახლავს,
ღამ-ღამობით გიგო პაპა
ყურძნისათვის კალათას წნავს.

სულ ცოტაც და აივნები
აივსება ჩურჩხელებით,
საახალწლოდ სტუმრისათვის
მზად ექნებათ ყველაფერი.

ვესტუმრები ჩემს დედულეთს,
სურნელებით მინდა დავტკბე,
და კახური სუფრის ეშხით
ერთხელ კიდევ მინდა დავთვრე.

ზამთრის დილა

გადავიხედე და ფანჯრის იქით
თეთრი ფანტელი გარემოს ხატავს,
თეთრი ქათიბით შემოსა მთები
და ჩაიმუხლა ჩემს სოფლის კართან.

აჟრიაშუღდა ირგვლივ გარემო,
გაახალისა ბავშვები თოვლმა,
და თოვლის პაპა სტაფილოს ცხვირით
ყველა ეზოში დამდგარა ლოცვად.

ახალი ზიქრები

როცა ახალი წელი დადგება
რადაც ახალი ხმიანობს ჩემში,
ხან ვეფერები, მლოცავს მგონია
რომ ბედნიერი იქნება ჩემთვის.

იმედისათვის გეტყვი მადლობას,
რადგან იმედი ყველას ხიბლია,
ამიმღერდება სულში სინაზე
მგონი სიახლის დასაწყისია.

გულო გიგღარაჲ

გულო, გთხოვ არ მომიღუნდე,
ხარ გადაღლილი შრომითა,
მინდა რომ გაგახალისო
და მოფერება მომინდა.

მე შენითა ვარ ძლიერი,
მალიმალ დაგაყურადებ,
გამიგო და მემსახურო
სიცოცხლის დასასრულამდე.

არ შეგაშინოს სიბერემ
კიდევ ბევრი გვაქვს სავალი,
წინ გველის არდავიწყება,
დროჟამი გადასავალი.

მე შენით ვხედავ სამყაროს
სიცოცხლეს ნაირ ფერებში,
არ მიღალატო, იცოდე –
ისევ შენ მეიმედები.

ფიროსმანის ნახატია

როცა შორს ვარ მენატრება
ჩემი ზღვა და ჩემი ბაღი,
ისე მიყვარს ისიც, ისიც
ვერაფერში მათ ვერ გავცვლი.

ზღვაა ჩემი სიმშვიდე და
ზღვაა ჩემი ნატვრის თვალი,
ბაღი ჩემი სიამე და
სიყვარულის ნაპერწკალი.

როცა ვხედავ ცის სიღურჯეს,
ტალღებში რომ ჩახატულა,
მისი დიდი სიყვარული
ამ ჩემს გულში განაბულა.

ბაღი ჩემი სიცოცხლის ხე
ჩემთვის იგი ედემია,
გაზაფხულზე როცა ჰყვავის –
გულში ჩასახუტებია.

ჩემი ზღვა და ჩემი ბაღი –
ორივენი ღამაზია,
ჩემთვის ერთიც და მეორეც
ფიროსმანის ნახატია.

სამოთხელო იმედავი

ნეტავ რატომ მოგვიმრავლდა
ქვეყანაში კაცუნები,
სად იწყება, სად მთავრდება
ძლიერების ქვაკუთხედი.

მინდა ყველას მოვეფერო
ვინც ქვეყნისთვის ცდილობს გარჯას,
თუნდაც ერთი აგურის ქვა
საძირკველში ლამობს დადვას.

მეკუმშება გული იმით
ქვეყანას რომ ასე უჭირს,
ყველაფერი სამშობლოსთვის
მცირედიც კი ძვირად გვიღირს.

ჩვენს ქუჩებში ასე ბევრი
ხელგაწვდილი არ მინახავს,
უნდა დავდგეთ ყველამ ერთად
რომ გუშველოთ საქმეს წამხდარს.

სად წავიდა შემართება
და მომავლის იმედები?!.
ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაგრძელდეს
უსაფუძვლო მიზეზები...

დავაბრუნოთ სიყვარული

ერთხელ ვიღაც ვიგინდარამ
მწარე სიტყვით მაწყენინა,
იმის შემდეგ გულს ვუზივი
და მის შემდეგ გული მტკივა.

საშინელი ყოფა არის
ვერაფერი გამიგია,
თითქოს შეკრა ყველამ პირი
ტკბილი სიტყვა დავიწყნიათ.

თუკი რამეს კითხავ ვინმეს –
გაკვირვებით შემოგხედავს,
გადმოგიგდებს სიტყვას ძუნწად,
თითქოს მისი მევალე ხარ.

ვხედავ ყველა გარინდულა
და ფიქრებთან დარჩნენ მარტო,
მე ასეთი საქართველო
და ქართველი აღარ მახსოვს.

დაიკარგა „გენაცვალე“
დაიკარგა „გთხოვთ, ბატონო“,
საქართველოს შეველა უნდა
ახლა არის საპატრონო.

საჭიროა ამ შოკიდან
ყველა ერთად გამოვიდეთ,
ხომ ვცხოვრობდით სიყვარულით
ეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

ჩვენ პატარა ერი ვართ და
ჩვენი ბევრი კარგი ახსოვთ,
დავაბრუნოთ სიყვარული
სიძულვილმა რაც რომ გვავნო..

პიფიქროთ ამაზა!

ქვეყნად რამდენი ბოროტებაა
რამდენი სიძულვილია,
ხალხნო, ასე რამ შეგცვალათ
ვერაფრით ვერ გამიგია.

ზოგჯერ ისიც კი მაფიქრებს –
რა ზნე გვჭირს, რა გვატრიალებს,
მთავარი არის გახსოვდეს:
ადამიანი გიყვარდეს!

ჩვენში სირცხვილად ფასობდა
ქალზე ხელების აღმართვა,
ის სითბო და სიყვარული
ნეტავ რა ძალამ წაშალა!..

მამა, შეიღების წინაშე
დედას რომ გამოიმეტებს,
უდელო, მამის გარეშე
მათ ვინდა დააფრთიანებს.

ობლობა მძიმე ტვირთია
ჩარხი უკუღმა ტრიალებს,
დედის და მამის გარეშე
ცხოვრება გაატიალებს...

სანამ რაიმეს გადაწყვეტ –
შვილებზე მეტად იფიქრე,
მერე ვერაფერს უშველი
იმ დანატოვარ სიმძიმეს.

რასაც ვნატრობ

ზოგჯერ მინდა გავერიდო
უსასრულო დროს და უამს,
დავიწყებას მინდა მივცე
ავ ფიქრებს და განვლილ წამს.

ყველაფერი ღირებული
ვხედავ გამოიკვეთა,
ჩემთვის რაც ღირებულია –
ღმერთმა გამოიმეტა.

ბევრი ნატვრა ამიხდინა,
რაც გულით მინატრია,
რაც შევძელი სიკეთის ქმნა –
არასდროს მინანია.

ყველა წერტილს მოვეფერო,
გულში ავახმიანო,
დარჩენილი სავალი გზა
მშვიდად გადავიარო.

ჩემს აჭარაში

ჩემს აჭარაში ზაფხული მძლავრობს
სანაპიროზე ხალხი ბევრია,
ჩემი ბათუმი და ქობულეთი
დღეს დასვენების ეპიცენტრია.

ისევ ლივლივებს ლურჯად ტალღები
ზღვა ჩემთვის მართლაც ყველაფერია,
სანაპიროზე გასაშავებლად
წამოწოლილან თეთრი ფერია.

ზღვის სილურჯეში ჩახატულია
ცაზე გამკრთალი თეთრი ღრუბლები,
მინდა ზღვას ისევ რომ მოვეფერო
და სიყვარულით მასთან ვბრუნდები.

როცა მასთან ვარ მუდამ ვისხენებ,
ჩემი ბავშვობის ლამაზ ანცობას,
აღბათ იმიტომ ზღვის სიყვარული
ცხოვრების გზაზე მუდამ დამქონდა.

ფიქრები ლექსთან

როცა მარტო ხარ ფიქრებთან –
 ლექსს მოგაწყურებს სიხუმე,
 გასდევ ლექსებში სტრიქონებს
 ყველაფერს გადაგავიწყებს.

ლექსებს ისეთი ხიბლი აქვს
 ზოგჯერ გეძებს და გეძახის,
 გულში შუქს შემოანათებს,
 ვერ დაივიწყებ ვერაფრით.

როცა მეძახი, შენთან ვარ –
 უჩუმრად გესაუბრები,
 დროს მხოლოდ შენთვის ვიმეტებ
 და სიყვარულით ვივსები.

მინდა ეს ყველაფერი
 დიდხანს და დიდხანს გაგრძელდეს,
 მე ლექსთან ვპოვებ სიმშვიდეს
 ლექსებს ამიტომ ვაღმერთებ.

მინდა ისეთი დავწერო
 რომ ერქვას არდავიწყება,
 და ბევრჯერ წანაკითხები
 დამაწყებინოს თავიდან.

დაფიქრდი ჩქარა!

მთელი საქალეთი დამდგარა ლოცვად
შვილებზე ფიქრი აღარ ასვენებთ,
და დღეს ისევე მძლავრობს სატანა
დედის თვალების ცრემლი ასველებს.

ვეძებ სიახლეს სიკეთის მომტანს,
რომ ვუპასუხო დედების შფოთვას,
მაგრამ იმ ძალას ვინ მოერევა
რაც „თამაშების“ სიმწარეს მოაქვს.

ახალგაზრდობავ, დაფიქრდით ჩქარა
სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან,
ასეთ „თამაშებს“, თამაში კი არა
ჩვენი შვილების სიკვდილი ჰქვია.

ჩემი ქვეყანა

მიყვარს ჩემი ქვეყანა,
მიყვარს ჩემი მამული,
მინდა გული გავათბო
სიყვარულით ავსილი.

ჩემი ქვეყნის ედემი
ჩემთვის ყველაფერია
ჩემი გზაჯვარედინი
სხვაგან არ მიძებნია.

სამშობლოზე ფიქრებმა
გული დარდით ამივსო,
მგლები შემოგვესია
როგორ გადავარჩინოთ...

მტერი ყველგან მტერია,
კარგი არსად მინახავს,
ჩუმად ისევ ქართველი
სამტროდ შემოგვიგზავნა.

ახლა გვინდა ქართული გონი,
– გამთლიანება,
ქვეყანას რომ ვუშველოთ
– მერე დაგვიანდება!...

* * *

წადი და მარტო დამტოვე
ჩემო სიმშვიდევ დაღლილო,
არ გამიმტყუნო სიფიცხე
სევდანარევო წარსულო.

ადამიანი ინახავს
წარსულში ნათქვამ ნაფიქრალს,
განა ღირს მოსაგონებლად
როდის მზეობდა ან წვიმდა?

ცხოვრებას ვინ რას გაუგებს
რა გზებითა აქვს სავალი,
შუბლს აწერია ყოველი
კარგიც და დასაკარგავიც.

* * *

ზოგჯერ გზაზე მივდივარ და
აქეთ-იქით ვიცქირები,
სანამ ჩავალ გზის პირამდე
მიღიმიან ნარცისები.

მათი ნაზი შემოსედავით
ჩამედვრება გულში სითბო,
გავიხსენებ ვინ-ვინ არის
სამეგობროდ თითქოს გიხმობს.

ერთი კარგი მეგობარი
მთელ დუნიას თითქოს მიჯობს,
ვიცი რომ არ მიღალატებს
სიყვარულით მასზე ვფიქრობ.

ჰოდა, ჩემო ყველაფერო,
ჩემო სიყრმის მეგობრებო,
ვხედავ როგორ დავცოტავდით
გულში ზამთრის თოვლი მითოვს...

* * *

ზღვა იყო ისეთი ნაზი
რომ ჩურჩულებდა ტალღებში,
მე კი ფეხებით ვსრისავდი
თეთრ ქაფს გაფენილს წამებში.

პატარა ქარმა დაქროლა
ტალღამ ჩამხედა თვალებში,
მე ძალა მისი ვიწამე –
როცა გავებო მახეში!

* * *

როცა დილით მოადგება
ცას სილურჯის ნაზი ფერი,
გული ისევ ამდერდება
სიყვარულში გავებმები.

ნუ გგონიათ დამიბერდა
გული სულის მასპინძელი,
რა ვქნა, თუკი სიყვარულმა
დამაბრუნა ლამაზ ფერში.

სიყვარულით ...

ვხედავ ლექსის სიყვარული
ნატვრასავით მომეძალა,
და მის ფიქრით ფრთაშესხმული
თვალჯებს რული მოენატრა.

ლექსის პწკარებს გასდევს ბწკარი
და სანთელი იღვენთება,
თითქოს გულში რაც ფიქრია –
ყველა ლექსად იწერება.

ერთსაც გეტყვით, ლექსში ფული
არასოდეს ამიღია
და წიგნები ნაფერები
უსასყიდლოდ გამიციია.

მაგრამ მაინც მეწერება
მე არ ვიცი ნეტავ რატომ?
აღბათ მიტომ, ლექსის ფასი
ვინც წერს იცის, თითონ მარტომ.

არ მგონია ამ ჩემს ლექსებს
დაეკარგოს ალი-კვალი
და ვიდაცა თუნდაც ერთხელ
არ იმღერებს ლამაზ ხმაში.

ზოგჯერ მარტო ვკითხულობ და
თვალზე ცრემლი მომადგება,
რა ვქნა, თუკი დედასავით
მოფერება მომინდება.

ვეფერები და ამ სიტბოს
მკითხველებთან საგზლად ვატან,
მჯერა მათი, ყურს დაუგდებს
სიყვარულით გულის კარნახს.

* * *

ზღვა იყო ჩემი მესაიდუმლე
როცა სიყვარულს გულში ვპერწავდი,
ყველა ფიქრი და ყველა ოცნება
მასთან მიმქონდა, მასში ვხედავდი.

დრო თავისთავად უღმობელია,
აღბათ იმიტომ მუდამ ვღელავდი,
და როცა ახლა ზღვასთან მივდივარ
თითქოს ბავშვობა ჩემი მეძახის.

* * *

ჩემო ლამაზო ლექსებო,
ჩემი ფიქრები წაიდე,
მკითხველის გულს მოეფეროს
და დავიწყებას არ მისცეს.

მაშინ სათქმელი ხიბლია
როცა შენს გულსაც ალაღებს,
სულში სანთელს რომ აგინთებს,
სიცოცხლეს გაგიღამაზებს.

იქნება ღაპვიქრდეთ

ნურვის გონია ლექსს ვწერ ტაშისთვის
ან ვინმეს თავი რომ მოვაწონო!
ვერაფრით გული ვერ ჩავახუმე
საით წავიდე, რა ვქნა ბატონო?!..

რომ გაიღვიძა ჩემში ზღაპარმა,
თითქოს ამითაც ვჭირდები მამულს,
მინდა ეს მთები გადავიარო,
რომ მოვეფერო ბანას და ხახულს.

იქეთ მივტირი დანგრეულ ტაძრებს,
რა ვქნა, უძღურმა რომ ვერას ვშველი,
იქეთ მივტირი და ყურისძირში
მტერი მოსდგომია ჩვენს ქართულ ტაძრებს.

ერო, გონს მოდით, მტერი ჩაგვისაფრდა
როდის დავიღლებით ან როდის დავიშლებით,
ურთიერთ ბრძოლაში და ძიძგილაგში
ძალაგამოცლილი როდის წავიქცევით!..

გვიყურებს ევროპა, გვიყურებს „ნატო“
თუ ასე გაგრძელდა – დავრჩებით მარტო
ადარ დავიწყებენ იწილო-ბიწილოს
და ისევ სახვეწნად გვექნება საქმე!

ლექსები ამიმღერდება

როცა ლექსები ამიმღერდება
და ხელში კალამს ამაღებინებს,
მაშინ ფიქრები მისკენ მეწვევა
და სათქმელს არ დამავიწყებს.

მე არაფერი არ მახადია,
თქვენა ხართ ჩემი სუნთქვა ალალი,
მინდა რომ დამცდეს ლამაზი ლექსი
ისეთი, გულგასახარი.

თუ დავწერ, მინდა დავწერო
წასაკითხადაც რომ ღირდეს,
რომ შემირხიოს სულში სიმები,
კარგა ხანს არ დამავიწყებს.

როცა ლექსები მეწვევა
და ჩამომარცვლავს სტრიქონებს,
ჩამომიჯდება სულში უჩუმრად
და მერე მართლაც დიდხანს ვიგონებ...

* * *

ცის კიდურზე მზე იცინის
და იმ სხივებს შორ-შორ ფანტავს,
ხის ტოტებზე ჩიტუნები
გალობენ და მზესთან ატანს.

ირგვლივ დილის იდილიამ
არე-მარე დაამშვენა,
ჩამელვარა გულში სითბო
ჩემებურად ამემღერა...

* * *

შემოდგომა კარს მოგვადგა,
შეუყვითლდა ხეს ფოთლები,
და ბაღებში სიმძიმისგან
ჩაზნექილა ხის ტოტები.

ირგვლივ შრომის ფერხულია,
ყვითელ ფოთლებს ქარი ფანტავს,
ბუნება კი ნაირფერში
შემოდგომის სურათს ხატავს.

იველი

ადამიანი იმედით ცოცხლობს
და მომავალი ეიმედება,
წვალებით, შრომით მიაღწევს მიზანს
და სურვილები აღარ ელევა.

ძიებაში და მეტის ნდომით
წლები ხელში შემოეღევა,
როცა გახედავს გაპარულ წლებს –
თმაში ჭაღარა შემოერევა.

როგორ გათელა გზა და სავალი,
დრო არის ამის შემფასებელი,
კმაყოფილია თუ შეისრულა
ყველა სურვილი და იმედები.

სიცოცხლე მოდის დაუკითხავად
და იგი მართლაც დიდი ხიბლია,
ბედნიერია, თუ შეასრულა
ამქვეყნად მოსვლით მისი მისია.

* * *

ჩემს ეზოსთან სიახლოვეს
აყვავილდა აკაცია,
თეთრ ყვავილებს ფანტავს ქარი,
სილამაზეც სხვაგვარი აქვს.

ხესთან ახლოს, ხელში ნაჯახს
ათამაშებს ვიღაც კაცი,
ხის ყვავილებს შესევია
უამრავი ფუტკრის ჯარი.

კაცმა ერთი ამოხედა
და დაუყვა იმ გზას ქვემოთ,
გაიხსენა აკაციის
ყვავილების თაფლის გემო.

* * *

საით მიფრინავ, დილის ნიაგო,
საით გაჰკვეთე გზა და სავალი,
მე ფანჯარასთან ისევ გელოდი
და ჩემს ფორიაქს საგზლად ვატანდი.

ისევ მინდოდა ჩუმი ჩურჩულით
ყველა სათქმელი მისთვის გამენდო,
ის სიყვარული, რაც გულში მქონდა
მასთან წამელო, სანთლად ამენთო.

* * *

ზოგჯერ საფიქრალს ვერვის გაანდობ
გულში სანთლებად რაც რომ გინთია,
მარტოსულივით წაგლეკავს ქარი
შეეგებები დილას ნისლიანს.

მაშინ დილაა უფრო სხვაგვარი,
და ნისლი გულის კარებს გაგიღებს,
მზე მთის კალთიდან გადმოიხედებს
და სადარდებელს გადაგაგიწყებს.

გაზაფხულდა

გაზაფხულის სილურჯეში
ქარი ტოტებს აქანავებს,
ღამის ცვარი მწვანე ფოთლებს
ასველებს და აბანავებს.

მერე დილის იდილიას
მზის სხივები ეფერება,
ხის ტოტებზე გაშლილ ყვავილს
სილამაზე ემატება.

რა ლამაზი დილა არის!
ცას სილურჯის ფერი დაჰკრავს,
არემარეს გაზაფხული
ნაირფერში ქსოვს და ქარგავს.

* * *

ზაფხული ისე ჩქარა გასრულდა
ზღვის მოფერება ვერ მოვასწარი,
და თვალი ახლა მისკენ გამიღობს –
როგორც ღამაში ქალის ზღაპარი.

დრო გავა ისევ, თვეების შემდეგ
თავს შეგვახსენებს მწვანე ზაფხული,
და აგვიხდება ჩუმი ოცნება
დაგვიბრუნდება ზღვა სიხარული.

ზღვისთვის ხომ წლები არაფერია
მას არ აწუხებს დროის პრობლემა,
მოვა ზაფხული, სანაპიროზე
ისევ ღამაში დღე ელოდება.

გავცქერი ზღვას და იმ ძველმა შურმა
მწვავე ფიქრებით ამიყოლია.
მე დრომ უჩუმრად წელი მომპარა
– მას არაფერი არ დაკლებია...

ბატონ ზურაბ შივარდნაძის პაღს

ირგვლივ ისეთი ფერთა გამაა –
სემირამიდას ბაღებს მაგონებს,
ბაღში ყვავილთა სურნელი მეფობს,
ეს ყველაფერი ძლიერ მოცუებს.

ასე მგონია, სიზმარში ვხედავ,
ეს ყველაფერი არის ზღაპარი...
თვალს ვერ ვაშორებ ვარდების თოვას,
მოვხვდი ყვავილთა ჰარამხანაში.

ნეტავ რამ შექმნა ეს სილამაზე
კაცის ხელმა თუ მიწამ ქართულმა?!..
და ღმერთს მადლობას ვუხდი იმისთვის
ეს სილამაზე ჩვენ რომ გვარგუნა.

* * *

შემომეცალეთ ახლობლებო და მეგობრებო
ნეტავ იცოდეთ, როგორ მიჭირს ყოფნა უთქვენოდ,
ზოგჯერ ჩამესმის თქვენი ხმა, თითქოს მეძახით
ვადებ ფანჯარას და თქვენს მაგივრად
სევდა მეძალვის...

ფიქრები ჩუმი სევდიანი და უკიდებანო
თქვენზე ფიქრია და ზეიმი არდავიწყების,
მე კი მივყვები ზევით ნავალ იმ ძველ ბილიკებს
ვაჯამებ წარსულს სიმაღლიდან
გადმოსახედით!

* * *

მზემ გაიცინა და ზღვას ჩაენთო
და დედამიწას სხივი მოჰფინა,
ისეთი იყო ეს სილამაზე –
მოფერება და კოცნა მომინდა.

კარუსელი

ტრიალებს კარუსელი თამაშ-თამაშით
და ხის ცხენებზე წყვილები სხედან,
მერე სიცილი, ხმაური ირგვლივ
და სიყვარულით გულები ფეთქავს.

გავა წლები და მერე როცა
ახალგაზრდობის დღეებს ვისხენებთ,
ისე ტკბილია ის მოგონება –
დასავიწყებლად ველარ ვიმეტებთ.

ვდგევართ კარუსელთან, უკვე ჭაღარით,
ის მოგონება გულში ხმაურობს,
ახლა დღევანდელ დღეებით ვცხოვრობთ
და მომავალზე აღარ ვსაუბრობთ...

* * *

მომეფერეთ, ენძელებო,
რა დროს მზესთან არშიყია,
ასე შორით სიყვარული
არასოდეს გამიგია.

პირველი თოვლი

პირველი თოვლი ისე მახარებს
როგორც პირველი იას ღიმილი,
ციდან მოფრინავს თეთრი პეპლები
და არ მაშინებს ზამთრის სიცივე.

არემარეში სითეთრე მეფობს
და ფანტელები გარემოს ხატავს,
ისე მაოცებს გარემო მშვიდი,
რომ ამ სიხარულს ვერასდროს ვმალავ.

ვხედავ ჩიტების აფუთფუთებას,
როცა საკენკით მათთან მელიან,
და როცა საკენკს დაამთავრებენ
მიფრინავენ და იფანტებიან.

* * *

როცა ფიქრები მომეძალება
დაგელოდები შენს სახლის კართან,
დილის სიჩუმე ღლოდინმა შთანთქა
და გაიპარა უჩუმრად სადღაც...

მე სიყვარული მათოვდა გულში
როცა ცისკარზე ფიფქი ცვიოდა
და იღუმალი გამოძახილი
იმ სიჩუმეში შორით მიქონდა.

არანაირი ცრემლების წვიმა,
ჩვენს შორის სევდას ვედარ წაღეკავს,
და სიყვარულის იმ ლამაზ დღეებს
გამოვიტირებ დილით სარკმელთან.

ო, ვერასოდეს ვერ შევძლებ ალბათ
წარსულ დღეების გადავიწყებას,
რადგან ყველაფერს ვიწყებ თავიდან
ალბათ გულს ისევ მოეფერება.

მსოლოდ ფრაზა

* * *

ისე ლამაზი დამეა ახლა
ეს სილამაზე მსურდა მეხილა,
ცაში გაფენილ ლამაზ ცისკიდურს
ნამგალა მოვარე ჩამოეკიდა.

* * *

ბუნების ლამაზ მშვენიერებას
თვითონ ბუნების მხატვარი ხატავს,
ამ ნახატს ისე ღრმა ფესვები აქვს
მას ვერაფერი ვერ შეცვლის ალბათ.

* * *

დღე ჩაილია შენზე ფიქრებით
და ყველაფერი მინდა დავმალო,
არა მგონია შენზე გუწრფელი
მოგონებები რამემ წაშალოს.

მომენატრეთ მეგობრებო

მეგობრობა ძლიერია,
შეფასება არის ძნელი,
როცა გვიჭირს, ანდა გვიღიხინს
პირველ რიგში იმას ველით.

ვიცი, კარგი გაახარებს,
მწუხარება აატირებს,
ღმერთო, თხოვნა შემისრულე
ცუდ მეგობარს ამარიდე.

როცა გიჭირს, ექვს შევლას
სულ პირველს რომ გაიხსენებ,
უმეგობრე მხოლოდ იმას
ენდები და დაუჯერე.

მჯერა კარგი მეგობარის,
პოვნა საქმით გათვლილია,
რადგან ნდობის მოპოვება
არც ისეთი ადვილია.

მომენატრეთ, მეგობრებო,
სულბრძენო და წმინდა წყაროვ
მჯერა თქვენი სიყვარულის
მეგობრობის ძალით ვხარობ.

მზეო ამოდი, ამოდი,...

(ხალხური)

როცა ამოხვალ ცისკიდურს
ერთბაშად გააღამაზებ,
მაღალ ხეს, ბუჩქებს, ყვავილებს
გაათობ გაახალისებ.

ცისკიდურს გადაანათებ
სიცოცხლეს შესძენ ქვეყანას,
დედამიწას კი მოუტან
სინათლესა და მშვენებას.

შენი სხივები გვათობდეს
და ყვავილობდეს ბუნება,
მილიონ წლებს ითვლიდე
კაცობრიობის იმედად.

„მზეო ამოდი, ამოდი,“
სიცოცხლე გაგვიხალისე,
და მოდგმა ადამიანის
სითბოთი გაგვანებივრე.

* * *

ბედნიერება მართლაც ის არის
როცა საკუთარ საძირკველს გაჭრი,
როცა კედლები მიიწევს მაღლა
და ხედავ კედლებს ცათამდე აჭრილს.

რამდენი ტკბილი ოცნება ახლავს
რამდენი ტკბილი მოგონებები,
როცა სახურავს თავზე მოირგებს,
მაშინ ბავშვივით მოეფერები.

როგორც ყოველთვის შავი მერცხლები
სხვადასხვა მხარეს გაფრინდებიან,
ისინიც ჭრიან ახალ საბუდარს
და ძველიც ხშირად ახსენდებიან.

წვიმიანი მზა

მზე იცინოდა,
 წვიმა ტიროდა,
 ტყეში შემოდგომის
 ფოთლები ცვიოდა,
 სოფლის ბოლოში
 მამალი ყიოდა,
 ტყის სიჩუმეში
 ტურა კიოდა.
 მერე ვიდაცისთვის
 აღარ მზეობდა,
 ქუჩაში მთვრალი
 თავისთვის მდეროდა,
 ვინ იცის დედა
 როგორ ელოდა,
 მაგრამ ამისთვის
 აღარ ცხელოდა, ...
 ტყის პირას ჩიტები
 ხმამაღლა წიოდა,
 გზაზე მიმავალს
 საშინლად ციოდა,
 მის გარდა მწარედ
 არავის ტკიოდა,
 და ჩუმად თვალიდან
 ცრემლები სდიოდა...

ვინ იცის, რამდენი
ფიქრები აწვალებდა,
რამდენ სადარდებელს
გულით ატარებდა,
ხან იქცეოდა,
ხანაც ღებოდა,
მაგრამ საშველად
არავის ელოდა! ...

* * *

მერცხლებო, შავო მერცხლებო,
შვილები დააფრთიანეთ,
შორეული გზით მიფრინავთ,
გზა-სავალს აახმიანებთ,
ჩვენ კვლავ აქ დაგელოდებით,
დაბრუნდით,
– ნუ დაავგვიანებთ!

* * *

თავს დაგვდგომია ცისკარი
მთელს არემარეს ანათებს,
ღრუბლები გაიფანტება
ციდან მზე გადმონათებს
ჩემს ფუნჯს მიეცი ის ძალა
ამ სილამაზეს ვხატავდე!

* * *

მივყვები სანაპიროს და
წვიმა ხის ფოთლებს ასველებს,
მეც გვარიანად დავსველდი
მაგრამ ეს აღარ მალეღებს.

მე შემიფარეს პალმებმა
ზღვასთან რომ რიგში დამდგარან,
სულგანაბულმა ჩიტებმა
მოასწრეს ადრე დამალვა.

ასე მგონია ბათუმში
სულ სხვანაირი წვიმაა,
გეთამაშება გასველებს,
ხან ჩუმად ღიმილს მოგპარავს.

ზოგჯერ ქარსა და წვიმაში
წავა და გაიპარება,
ცას მოადგება ღიმილი
და ისევ გაფერადდება.

დაბრუნება

მე ჩავუარე ისევ იმ ეზოს,
სადაც ბავშვობა მიტარებია,
სახლი, რომელიც იდგა ეზოში –
იქ ახლა უკვე არაფერია.

ვეძებე ჩემი ნაფეხურები
დროს უმოწყალოდ რომ წაუშლია,
და თითქოს გულში გამიწყდა სიმი,
რასაც ტკივილის ფიქრები ქვია.

ბაბუას ხელით დარგული მუხა
იდგა თავისთვის, განმარტოებით,
სუროს არტახით შემოსვეული
იცქირებოდნენ მძიმედ ტოტები.

შემოვაცალე სუროს ფოთლები
და მუხამ ისევ გაიღიმილა,
მოვდიოდი და მრჩებოდა განცდა
რომ ხესთან ახლოს ბაბუა იდგა.

ვერაფერი დამავინწყებს.

თენდება და დილის ბინდში
იცქირება ვარსკვლავები,
ჩაეხვევა ზღვაში ტალღებს
ნაირ-ნაირ არაკებით.

დღისით ზღვაზე მზე ბატონობს
სხივებს გაშლის კიდით-კიდე,
ნაპირთან რომ ჩავივაკებ
საბანაოდ მასთან მიწვევს.

მეც დაეუვლი ნაპირს ცელქად
და სიამე სულს ამივსებს,
მეც ვღებულობ გამოწვევას
და ლექსები კარებს მიღებს.

ცხოვრებაშიც ხდება ზოგჯერ
რადაცას რომ ვერ ივიწყებ,
აღბათ მიტომ ზღვის სიყვარულს
ვერაფერი დამავიწყებს.

გაზაფხულის იდილია

ბაღში ჩიტები გალობენ
ტოროლამ ფრთები გაშალა,
ხან წყაროს მიესათუთა
წვიმამ მინდვრები დანამა.

წვიმის წვეთები ყვავილში
მარგალიტებად დამსხდარა,
წითელ ფერებში ვარდები
გვირილებს მიესალამა.

ო, რა ლამაზი დილაა,
მზემ ოქროს სხივი გაშალა,
ყველგან ჩიტები მღერიან
ამ სილამაზით დამთვრალან!

მოდო სანაპიროსთან

გამასხენდება გაზაფხულის ნაზი ყვავილი –
ლურჯი იები, ენძელების თეთრი კაბები,
ზოგჯერ ვისხენებ სადამოების უჩუმარ თრთოლვას
და პირველი სიყვარულის ჩუმად გამხედილს.

ეს იყო ჩემთვის დაუვიწყარი სადამოები
და დავიწყებას ალბათ ვერასდროს შევძლებ,
რომ ცის სილურჯეს ეჯიბრებოდა შენი თვალები,
და იმ თვალების სილამაზეს ვეძებ და ვეძებ.

არ მავიწყდება შენი ხელის ნაზად შეხება,
ქარი ჩუმად ეფერებოდა კაბის საკინძეს,
მერე მოვარდა იმ წუთების არდავიწყება
ალბათ იმიტომ ვერასოდეს ვერ დაგივიწყებ.

მოდო, ნაპირთან ტალღებს ისევ დავაყურადოთ,
იქნებ ამიხდეს გაზაფხულზე სიზმრად ნახული,
და გავიხსენოთ სიყვარულზე თქმული ზრაპარი
გულის კუნჭულში სამომავლოდ შემოპარული.

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე

როცა სარფთან ვარ გულისტკივილი
გზა-გზა მომყვება ტრაპიზონამდე,
ღაღვჭქერი მიწას, ვეძებ ნაკვალევს
იქნებ თამარის სხივით ბრწყინავდეს.

საუკუნენი მოდის და მიდის,
რა ვქნა, მტერი რომ აღარ გველევა,
ღმერთისგან ქართველს ერგო ედემი
მჯერა მომავლის, რომ გაბრწყინდება.

ამ ფიქრებით და ამ იმედებით
ქართველს ამ გზებით დიდხანს გვივლია,
და ღმერთის სურვილს აგუნთებ სანთელს,
და შესრულება მისთვის მინდვია.

ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
საქართველო ხომ დიდხანს ბრწყინავდა,
მომავლის ისევ მეიმედება
და სურვილს ისევ გულში ვინახავ.

განა ვინმეს ველი

გამიფრნდა თითქოს უცებ
ის მრავალი წელი,
მახსოვს გუშინ და გუშინწინ
ვიყავ ბედნიერი!..

არ მივტირი წასულ წლებებს –
იყო ხიბლიც წყენაც,
მაშინ უფრო ავიტანდი
უნებელიე წყენას.

ახლა როცა ჩამომარცვლა
დრომ მრავალი წელი,
ვინც მიყვარდა აღარა მყავს
აღარც აღარ ველი.

ახლა დავრჩი დარდთან მარტო
და მაწვალებს ფიქრი,
გულის კარებს ვინ გამიღებს
ვინ ჩამხედავს სულში.

ამ დარდსა და ფორიაქში
განა ვინმეს ველი?
ატუზულა კართან მარტო
და სიბერეს შევრჩი.

* * *

ქუჩაში მოდის ლამაზი ქალი
ტანკენარი და მზეთუნახავი,
ყველას თვალები გაურბის მისკენ
მეც ციყვარულით გამირბის თვალი.

წავიდა ის დრო, როცა ქუჩაში
ჩემსკენ მომზირალ თვალებს ვხედავდი,
ახლაც ვისხენებ მშვენიერ დღეებს –
რასაც უჩუმრად გულში ვძერწავდი.

დრო თავისთავად უღმობელია
თითქოს შორიდან ისევ მიყურებს,
მოსაგონებლად რაც ჩემთან დარჩა
დროუაში თავის ადგილს მიუჩენს.

ხმაური ქარში

ქარიშხლის შემდეგ ზღვა ისევ ავობს
რომ არტახებში ვეღარ ეტევა,
სანაპიროდან მისი ხმაური
ქალაქის ქუჩებს ირგვლივ ედება.

ეთამაშება ტალღები ქუჩებს
და ეზოებში გაინავარდა,
შიშით შევცქერი მის გაავებას
საღამოს პირას ძლივსღა დაწყნარდა.

მე ზღვა არ მიყვარს ასეთი ავი,
ვერ ვეგუები შფოთვას ნაპირთან,
მერე ნელ-ნელა დაწყნარდა ტალღა
ზღვის სილურჯეში გაინაპირა.

ზღვის სიმჟონია

სულ სხვანაირი, სხვანაირი
 ღამეა ახლა,
 თვალებს ვხუჭავ და არ მასვენებს
 ფიქრი ფარული,
 ვარსკვლავები კი ცვივიან ზღვაში
 კელაპტრებივით,
 და ყურში მესმის ნანასავით
 ტალღის ხმაური.
 მერე ფიქრები მომეძალა ჩუმი
 და უტყვი,
 მდუმარებაში ქარი მიხსნის
 კაბის საკინძეს,
 ტალღები ნაზად ეფერება
 ჩემს შიშველ ფეხებს,
 და უნებლიედ კაბის კალთას
 თვალებს არიდებს.
 აჰა, თენდება, და ცისკარმა გამიღიმა
 ლურჯი თვალებით,
 და განთიადზე ზღვაში გაკრთა
 თეთრი აფრები,
 მითხარი გულო, თუნდაც ყურში
 ჩამიჩურჩულე,
 საით მიქრიან შენი ფიქრები
 ღამენათევი.

* * *

მინდორ-ველები,
ყაყაჩო, გზა,
ულამაზესი მთები და ცა,
მივდივარ, მივევები
სილამაზეში
და გზად ვეფერები
მონაბერ ქარს
ჩავივაკებ და
სანაპიროსთან,
ცელქობს ტალღები,
ვარიდებ თვალს,
რა ლამაზია!
ვჩურჩულებ ჩემთვის,
და თოლიები
კენკავენ ზღვას!

დაველოდები...

როცა წყაროს წყალს ჩავუვლი –
 მისი ჩურჩული მახარებს,
 ვინ იცის, რას მეუბნება
 ან რა ფიქრები აწვალებს.

წყაროს უბეში ჩავუდებ
 ნავებს პატარა ფოთლების,
 თვალს ჩავაყოლებ მეგზურად
 და მშვიდად დაველოდები...

* * *

ქვეყნად რამდენი სიტყვაა
 სათქმელი, დასაფიცარი,
 მთავარი არის გიყვარდეს,
 გიყვარდეს ადამიანი!

დროვ სანუთროს ღიმილო

დროვ, საწუთროს ღიმილო,
ჩუმად გადაკარგულო,
ხევ ეზოში დარგულო,
სიმაღლეში წასულო.
როგორ ჩქარა გასრულდა
წამი გადასახედით,
დროვ წამებში დათვლილო
მითხარ, საით წახვედი?..
ამ უაზრო რბოლაში
ამ წუთიერ წამებში,
ვხედავ რომ გამეპარე,
არც არაფერს დამპირდი.
ისევ მოგეფერები,
დროვ, გათვლილო წამებში,
შენზე ფიქრით დამთვრალი
სიყვარულში გავები.
ჩამომარცვლა წლებებმა,
ხეს ფოთლები დაცვივდა,
დროვ ფიქრებში გათვლილო,
ნეტავ საით წამიყვან?

* * *

ღმერთო, არ მომიშალო
მე სიხარულის ცრემლები,
ზოგჯერ ისეთი განცდა მაქვს –
სიძნელეს სულ მოვერევი.
სიცოცხლე დიდი ხიბლია!
შესთხოვ რომ დიდხანს გატაროს,
წუთისსოფელის სიმძიმე
ადვილად გადაატარო!

* * *

წადი, გაფრინდი, მერანო
გზა შემიმოკლე სავალი,
მზის სხივებს გადამატარე
ოცნებით გზაგასაყარი,
გთხოვ, დამაწიო სიყვარულს
არც რა მაქვს დასაკარგავი.

სალალოპო

განთიადზე ვხდები ცისკარს,
ცის სიღურჯე მაღაღებს,
აუუყვები ცისკრის ლოცვას –
ლექსად მაღაპარაკებს.

ამ ღამაში ლაბირინთით
სიო სარკმელს გამიღებს,
მომაფერებს სიღამაზეს,
სულში სანთელს ამინთებს.

ამღერდება მონატრება,
ბუღბუღების გალობა,
გამახსენებს ღამაზ დღეებს
და ბავშვობის ანცობას.

მერე დილის იდილია
დანავარდობს ედემში,
აენტება ცისკიდური
ცისარტყელას ფერებში.

რაც მინდოდა მეთქვა შენთვის
მგონი დამიგვიანდა,
დამიფინე სიყვარულით
გზები ფიანდაზადა.

* * *

სიბერე რომ ძნელი არის
 არ ახალი, ძველია,
 სიბერეში მზე არ ათბობს
 მზესაც სულ სხვა ფერი აქვს.
 ყველა ფიქრი და ოცნება
 მოგონებას განაგებს,
 არსათქმელი გულში ბორგავს –
 მხოლოდ წარსულს აწვალებს.
 ვეფერები გულში ნაღველს,
 დავსდევ იმ ძველ ნაკვალევს,
 მერე ისევ მოსაგონარს
 ჩუმად მაღაპარაკებს.
 ხან ვიხსენებ შვილის „აღუს“,
 პირველ სიტყვას, ნაბიჯებს,
 ის პირველი სიხარული
 დღესაც ისევ მაღვიძებს.
 მერეც ისევ გზას გავცქერი
 და ფიქრებით ვივსები,
 სიო მეტყვის ახალ ამბებს
 და განვლილ გზას მივყვები.

სამშობლო ერთადერთია

სამშობლო ერთადერთია,
მას ვერაფერი ვერ შეცვლის,
ჩემია, არვის დავუთმოვ
ბავშვივით მოვეფერები.

იგია ჩემი სავანე –
გულს რომ სიამით ამივსებს,
გამიხალისებს ცხოვრებას
და ფუძეს არ დამავიწყებს.

ღმერთო, მომეცი ის ძალა
მამულში მშვიდად ვიარო,
ტკივილიანი ფიქრისგან
გთხოვ არ დამაიარო.

* * *

რა ღამაზია, როცა ზაფხულში
ქათქათა თოვლი მთებს შემორჩება,
ასე გგონია ბერიკაცები
ლოცვად დამდგარან და გელოდება.

მთას რომ გახედავ და მწვერვალებზე
ვარსკვლავთცვენაა თოვლის ფიფქების,
რა დამავიწყებს იმ სიღამაზეს
და სიყვარულით ისევ ვივსები.

* * *

მოკლეა წუთისოფელი,
ვერას გაუგებ მის სრბოლას,
ზოგს გაიმეტებს სატირლად
ზოგს კი სიყვარულს ჰპირდება.
ზოგს მძიმე გუდას აკიდებს
და მონატრებს სიამეს,
ამ უსასრულო ლოდინში
ხედავ, რომ დაიგვიანე.

პირობით ევროპულ ოჯახთან ერთად

გილოცავთ ევროპელობას,
გულში ავინთოთ სანთლები,
დიდი ხნის ნატვრა აგვიხდა –
მტერს დავუყენეთ თვალები!..

მართალი გითხრათ, საძირკველს
კარგა ხანია ვაგებდით,
გზაჯვარედინთან ვიდექით
იმედებით და განცდებით.

ოდითგან იყო ცნობილი
ჩვენთვის ევროპის ქვეყნები,
ძირძველი ევროპელები
კვლავ გავხდით ევროპელები.

წუთისოფელი ცხოვრებას
საწუთროს გსდევს წამებით,
მერე ყოველ წამს შეავსებს
დროის ახალი ამბებით.

ახლა „ნატოს“ დრო დაგვიდგა
ველით მშვიდობის გარანტად,
მტერმა რომ ვეღარ დაგვჯახნოს
როგორც პატარა ქვეყანა.

ახლა მომავლის დრო დადგა
ახალგაზრდების ჯერია,
გააძლიერეთ სამშობლო
და მომავალი თქვნია.

* * *

დილას რომ აღრე გამოიღვიძებ
თავს დაგადგება ცისკრის ნათება,
მერე ლექსები მოვა უზუმრად
და სასთუმელთან ჩამოგიჯდება.

ყველა ფიქრი და ყველა ოცნება
მოვა შენში და გაგახალისებს,
ის სილამაზე, რაც ირგვლივ მეფობს,
სიცოცხლის დღეებს გაგიხანგრძლივებს.

* * *

გამიყოლია ქარმა მთებისკენ
და ნაირ-ნაირ ზღაპრებს მიყვება,
ცერზე შემდგარან გზა-ბილიკები,
დაკაწრულ გზებით მთისკენ მიმყვება.

ლამაზ ოცნებებს ვერ გაექცევი –
გულის კუნჭულში რომ ჩაგიჯდება,
მერე გზა და გზა თავს შეგახსენებს
და არასოდეს დაგავიწყდება.

იფიქრეთ ამაზეც!

შვილებო, შვილიშვილებო,
ქვეყნის და დედის იმედო!
წამიერ სიხარულისთვის
სიცოცხლე არ გაიმეტოთ.

ეიმედებით ქვეყანას
ეიმედებით ოჯახებს,
ამ მოკლე წუთისოფელში
ცხოვრებას რატომ იმწარებთ.

ზოგჯერ ცხოვრება ფლიდია –
ჭკუას ამისთვის სწავლობენ,
წინ მიმავლების შეცდომას
ნურასდროს გაიმეორებთ.

თქვენზე ზრუნვა და ნაშრომი
სიკეთეს უნდა მოხმარდეს,
მშობლების, ქვეყნის იმედი
შენ და შენს ტოლებს მიანდეს.

დროა, იფიქრე ამაზე,
შენი ცხოვრება რას ფასობს,
მშობლების დიდი ამაგი
ქვეყანას უნდა ანახოთ.

გაითავისე ცხოვრება
რა არის შენი სამიზნე,
რას აუხირდი თავისთავს
რატომ და რისთვის გაწირე?!..

მერე გლოვა და ცრემლები
იმქვეყნად არ მოგასვენებს,
– გამწარებული მშობლების
ცხოვრება როგორ გაგრძელდეს?

შვილებო, შვილიშვილებო,
ჩვენო ღამაზო ბიჭებო,
თქვენი ღამაზი სიცოცხლე
არასდროს არ გაიმეტო!

ქალის სილამაზე

ლამაზ ქალს-ლამაზი აზრის
ტარება აქცევს ღმერთადა.

ვაჟა

სილამაზე და მშვენება
ლამაზი ქალის სიბლია,
მგონი, არ გაგიკვირდებათ
მისთვის ეს დიდი სიბლია.

მახინჯს, თუ ლამაზს, სუყველას
თვალები მისკენ გაურბის,
შორიდან მოეფერება
ზოგი ბოდმით და შურით.

ამბობენ, ღმერთმა ამიტომ
ქალის გული ვერ მოიგო,
ყველას თავისი არგუნა
და სილამაზე გაუყო.

თუ ჭკვიანია,
– ლამაზ ქალს
ყველა გაიხდის კერპადა,
„ლამაზ ქალს – ლამაზი აზრის
ტარება აქცევს ღმერთადა“.

ბელოღებით!

სად გაკრეფილხართ ჩემი ქვეყნის ღამაზმანებო,
ვხედავ როგორ დავცოტავდით, დავპატარავდით,
თქვენ აკლიხართ ჩვენი ქვეყნის ქალაქებს, სოფლებს,
სული ტირის,

– ასე როგორ დაუჩაჩანაკდით...

წუთისოფელი ისეც მოკლეა და უნაპირო,
თქვნი შვილები დედის ალერსს ძილში დაეძებს,
გეძებს, გეძახის თქვენი პატარა, ახლა დიდია...
დედის სითბოს მოკლებული

– თითქოს სხვისია...

უდედოდ გაზრდილ შვილის გული ზოგჯერ ცივია,
სამწუხაროდ დიდ სიყვარულს უჩნდება ბზარი,
ღმერთმა ნუ ქნას, დაიკარგოს ის სიყვარული
მაშინ დედაშვილობასაც დაკარგვია თავისი აზრი.
გამიგონია დედისათვის შვილის ბრალდება,
-მე შენთან ყოფნა უფულოდაც გამახარებდა,
როცა ვუცქერდი სხვისი დედის

– ალერსს და სითბოს,

ასე მეგონა, ყველაზე დიდი დაკარგვე თითქოს...
როგორ მინდა, რომ დაბრუნდეთ, დაბრუნდეთ ჩქარა,
რომ ერთად შევძლოთ, შევძლოთ ვზიდოთ

– მძიმე ჭკაპანი,

ისევ და ისევ უერთგულეთ ოჯახს და შვილებს,
რადგან იცით, თქვენი ბედნიერება

– მხოლოდ აქ არის!

* * *

ამბობენ, თურმე სიყვარულს
არ ჰონიარო ასაკი,
ვერაფრით ვერ დავიოკე
სურვილი
– სანამ გნახავდი...
და იმ წამიერ შეხვედრას
გულში უჩუმრად ვმაღავდი,
დავმაღავ, არვის გავუმხელ
დავმაღავ,
-მაგრამ სანამდი?

* * *

რატომ გგონიათ, რომ სიყვარული
ახალგაზრდობის დიდი ხიბლია,
სიყვარულს მუდამ ეძებს მავანი –
სიკვდილ-სიცოცხლის გზა და ხიდია.

მუდამ ხმაურობს გუში ფარულად,
ყველა ხიბლი და ყველა ოცნება,
მერე გვიტოვებს ფიქრები ქარში
უიმედობას და დაღონებას.

დაე ასრულდეს

ბევრი მინახავს ადამიანი,
ვისაც იმედი გაცრუებია,
და სამომავლოს დიდი სურვილი
არასდროს რომ არ ასრულებია.

ეს ფიქრი ალბათ ყველას აწვალებს
ეს ხომ ყველასთვის დიდი ტვირთია,
მომავლის ფიქრებს ნეტავ რა წაშლის?
ტკივილს უჩუმრად რომ აწერია.

ცუდი ფიქრები გულს შეატოკებს
და დაუმძიმებს სულიერ შფოთვას,
ეს ყველაფერი არასდროს გეტოვებს,
წარსულს აწმყოში იმედად მოაქვს.

ზოგჯერ გახსენებს ბაღღურ ოცნებას,
და მოგანატრებს დღეს ღიმილიანს,
ამ ფიქრებში და მოლოდინში
წლები სწრაფად მიდი-მოდიან.

დააყურადებ ზამთარს ნისლიანს
ჭადარა თმებში კრთება ლანდები,
მერე ფიქრებსა და მოლოდინში
სულ სხვანაირად მეფობს განცდები.

ყველა სიტყვას და ფრთიან სინაზეს
თითქოს იმედის სხივები ათბობს,
რა არის მერე თუკი ფიქრები
ამ ოცნებებში იმედებს აქსოვს.

მინდა, რომ წარსულს კვლავ მოვეფერო
წლები სავალი გზებით დაბრუნდეს,
რომ ყველა დღეებს დაუდგათ ძეგლი
ის ოცნებები, დაე დაბრუნდეს!..

* * *

ტკივილი ისე არ შეგაწუხებს –
როგორც ტკივილიანი სიტყვა,
გულს დააჩნდება მუდამ ტკივილად
ვერ მოშუშდება დიდხანს.

სიძულვილს ბევრი ძეგნა არ უნდა
ჩაგისაფრდება ჩუმად,
ისევ სიყვარულს გავულოთ კარები
ესაა სურვილი, რაც მუდამ მსურდა.

* * *

წუხელის სიზმრად გიხილე –
თითქოს იდექი კარებთან,
და შენი ნაზი ღიმილი
ირეკლებოდა სარკიდან.

მერე შენს აჩრდილს დავდევი
მინდოდა კიდევ მენახე,
მაგრამ უაზრო ფორიაქს
რა აზრი ჰქონდა ხილვამდე.

ქართველობას გაუფრთხილეთ!

ქუნა ქუნა დავდივარ და
ვაკვირდები ხალხის სახეს,
სიცილი დავიწყებიათ
დარდი ავსებს იმათ თვალებს.

ლამაზ ლამაზ „ოცნებებში“
გაგვიფრინდა ბევრი წლები,
ვინაც გვეიმედებოდა
იგი დარჩა ჩვენი მტერი.

„უპატრონო“ ქართველები
მსოფლიოში გაიფანტა,
ასეთ სირცხვილს გეფიცებით
სხვა ვერავინ აიტანდა.

მოვა დრო და ყველაფერზე
ხალხი გასცემს ნამდვილ პასუხს,
ვერავინ ვერ დაივიწყებს
ჩვენი ქვეყნის მძიმე წარსულს.

საფრანგეთმა, გერმანიამ,
ღამის ჯვოხით გამოგვეაროს,
ზოგიერთის საქციელმა
ვინძლო ღაფში ამოგვევაროს.

ქართველებო, გეხვეწებით,
თოკს გაჭრამდე დაუკვირდით,
თქვენს უკან დგას საქართველო,
ქართვეობას გაუფრთხილდით!

* * *

როცა მზე გადაიხრება
და წავა დასალიერით,
აიშლებიან ფიქრები
საოცრად გასაკვირველი.

არ დაგაფიქრებს წამითაც
გულში აგინთებს სინათლეს,
მერე კი გაწბილებული
ოცნებებს დაგიგვიანებს.

* * *

გამიფრინდა ზაფხული და
იმედებით ვხვდები ზამთარს,
მახსენდება ჩემი ბებოს
ჩურჩხელებით სავსე კალთა.

იმ ბავშვობის სიყვარული
წლებებია გულით დამაქვს,
ვერასოდეს დავივიწყებ
ბუხრის პირას ნათქვამ ზღაპარს.

ნუთუ ჩემი თბილისია

თბილისში ვარ და ქუჩებში
აქეთ-იქეთ ვიცქირები,
მოზღვავებულ იმ ნაკადში
თითქოს ქვემოთ ვიძირები.

ყველა თავის საფიქრალით
გზას ნელ-ნელა მიუყვება,
და ფიქრებში ჩაძირული
უღიმღამოდ იღიმება.

ვეძებ ჩემებს პარკის გვერდზე,
ვერაფრით რომ მიმიგნია,
შენობების ტყვეობაში –
ნუთუ ჩემი თბილისია?

ვისიც გვეიმედებოდა
რომ ქვეყანას მოუვლიდა,
გვიან მივხვდით, მოვლის ნაცვლად
ღმერთმა მტრად რომ მოგვივლინა.

ქვეყანაში ახალგაზრდებს
ვისაც შრომა შეუძლია,
საზღვარგარეთ გაკრეფილა
და სხვა ქვეყნის შვილებს ზრდიან.

გაიდვიძეთ, ქართველებო,
ისეც უკვე დაგვიანდა,
და სამშობლო ნაფერები
ხელში ვიგინდარებს დარჩა.

ვხედავ ვრჩებით უსამშობლოდ,
უთბილისოდ ქართველები,
თავისუფალ საქართველოს
დიდხანს ვეღარ ვეღირსებით.

* * *

ზამთარში ღამე დიდია,
ფიქრებით სად არ გატარებს,
ხან მთის მწვერვალზე აგიყვანს
მსოფლიოს შემოგატარებს.

გაგისხნის გულის საკინძეს,
საფიქრალს გაგიღამაზებს,
ყველა სათქმელს და საფიქრალს
შენ ხელისგულზე დაგიდებს.

აგიმდერდება სათქმელი,
გულში სანთლებად აგინთებს,
გისრულებს იმ დანაპირებს,
რასაც ის შენთვის აპირებს.

ცისკარი შემოანათებს
ღამაზ ოცნებებს აგიშლის,
და უღამაზეს ყვავილებს
ფიანდაზებად გაგიშლის.

* * *

რადაცა უნდა მეთქვა ისეთი...
მაგრამ ის უცბად გადამავიწყდა,
მერე დავდევი დაკარგულ სიტყვას
და გასხენებამ მაწვალა დიდხანს.

ზოგჯერ პატარა სიტყვაც მაწვალებს,
სანამ ჩაჯდება გულის კუნჭულში,
მერე აკრიფავ ლექსებს ბჭკარებად
სანთლად აგინთებს ნაფიქრალს სულში.

ხან სიტყვა ისე აფერადდება
თითონც ზეიმობს, შენაც გახარებს,
და ახალ ახალ სტრიქონებს ძერწავ
და სიყვარულით გალაპარაკებს.

ლამაზ ლექსს ფიქრი დიდხანს სჭირდება –
აზრი და სიბრძნე რომ დაატანო,
შენს გულს შემორჩეს ანდამატივით
მკითხველთან ისე რომ გაატანო.

* * *

ტკივილიანი ფიქრები
კაცს არასოდეს ასვენებს,
გაიყვანს გზაჯვარედინზე
სიმწარეს არ დაავიწყებს.

* * *

თუ ცუდზე გული შეგტკივა
მაშინ მართლაც ხარ მაგარი,
ამდენი საფიქრალიდან
რა არის შენთვის მთავარი?

* * *

როცა ოცნება გაგიცრუვდება
გულში ჭრილობა გაინავარდებს,
მოგეძალება მწვავე ფიქრები
ჭრილობას ახლად ალაპარაკებს.

რა არის ჩემთვის მთავარი

რატომ მაწვალებს ფიქრები?..
გულში სინაზე ჩამიდე,
არ დამიმძიმო სათქმელი,
და სულში სანთლად ამინთე.

ეს მარტო ლექსი კი არა
ჩემი სუნთქვა და ხიბლია,
ლექსებზე შეყვარებულის
ხვალინდელი დღის ფიქრია.

ამდენი გზებით ვიარე
ტყუილად ხომ არ მივლია,
ყველა ფიქრი და ოცნება
მიყვარდეს
– გასაკვირია?

ჩემი სურვილი ეს არის
ბოლომდე რომ ვთქვა სათქმელი,
ყველა ნაფიქრალს, ნააზრევს
დაერქვას მისი სახელი.

თუ გულს არ მოეფონება
ისე ლექსები რა არის,
თუ მკითხველს მოეწონება
ეს არის ჩემთვის მთავარი!

* * *

როცა ღამეა, ზოგჯერ სათქმელი
ღრმა ძილიდანაც გამომადვიძებს,
ვიცი, ეს მისი ახირებაა
უკან დახევას აღარ აპირებს.

ჩამოვუჯდები ჩემად ლოგინთან
და ღამაზ ლექსებს ფეხდაფეხ დავდევი,
წავიკითხავ და გამეხარდება
ყველა სათქმელი ამინთებს სანთლებს.

ვიცი, რომ ჩემთან მუზაა სტუმრად,
და ამ სტუმრობას გულში ვაფასებ,
ის სიყვარული რაც ლექსში ჩავდე
მკითხველთან მგონი ხიდივით გავდე.

* * *

თქვენი ალერსი მინდა,
 ჩემი სერების ნისლო,
 ჩემი ჭაღების სუნთქვაჲ,
 ჩემი ხეების ძირო.
 თქვენი აპრილი მინდა,
 ნაკადულები სველი,
 ვარდების გაცეცხლება,
 აკაციების ტევრი,
 ლურჯი ტაღლების ჩქერი,
 მტევნებ ჩაკრული ვაზი,
 მაისის გახელება
 და მთვარეული ღამის,
 ცისარტყელების ფერი
 გზებზე კაკლების ჩერო,
 შენი ალერსი მინდა
 ჩემო ფუძევ და ჭერო!..

ბახსოვდეთ დიდგორი

ისევ ხმაურობს ჩემში დიდგორი,
თითქოს გამეხსნა ძველი ჭრილობა,
მოვალეობას ვეძებდი ჩემში –
სამადობელი მეთქვა მინდოდა.

მუხლს ვიყრი ყველა გმირის წინაშე
ვინც სამუდამოდ დარჩა დიდგორთან,
დღეს საქართველოს მკერდზე აჩნია
მოუშუშებელ გმირთა ჭრილობად.

იდგა დავითი ნიხბისის კართან
დაფიქრებული, კარჩაკეტილი,
სხვა არჩევანი არ დაიტოვა
ან გამარჯვება, ანდა სიკვდილი.

ქართველთა ხმალი სასწორზე იდო
და უთვალავი მტერი დიდგორთან,
„ან გამარჯვება, ანდა სიკვდილი!“
მარტო ეს იყო მათი პირობა.

დარჩეულ გმირთა მცირე ამალით
დასცა ყიჟინა მტერთა ბანაკთან,
დიდ გამარჯვების აიღო ფსონი
და აზრზე მოსვა არც კი აცალა.

თუ ვლაპარაკობთ ახლა ქართულად –
დამსახურება არის დიდგორის,
მსოფლიო დარჩა გაკვირვებული
იმ გამარჯვებით და იმ გმირობით.

ექვსასი ათას ერკინებოდნენ
სამშობლოსათვის თავგანწირულნი,
იბრძოდნენ სისხლის ბოლო წვეთამდე,
გამარჯვებაში დარწმუნებულნი.

დიდგორი არის ბოლო წერტილი
და ის ბრძოლები დარჩა არაკად,
ამის გარეშე სხვა გზა არ ჩანდა
ღმერთმა ინება, და ის გადარჩა!!!

მე დიდგორით ვარ დღესაც ამაყი,
მრავალგზით მტრისგან თავდაღწეული,
ღმერთო, მანახე ჩემი ქვეყანა,
როგორც დიდგორთან,
- გამარჯვებული!

* * *

ერთხელ ლამაზი კაბა ვიყიდე –
ისეთი კარგი, ადრე რომ მქონდა,
ვარჩევდი კაბებს ისეთ ფერებში
ისეთს, ადრე რომ ჩემს გულს მოსწონდა.

გზადაგზა კაბას ვეფერებოდი
მეგონა, ის დრო დაბრუნდებოდა!
ისევე ისე ლამაზი ხიბლი
და მოწონება ამისდებოდა.

ვიდექ სარკესთან იმ ლამაზ კაბით
თითქოს ის კაბა იღიმებოდა,
და იმ კაბიდან მე კი არადა
ვიღაცა ქალი იცქირებოდა...

* * *

როცა ქუჩაში გავდივარ
ყველას ვუყურებ თვალებში,
მინდა რომ ამოვიკითხო –
რას ღაპარაკობს თვალები?!

თვალები დიდი სარკეა,
გულიდან ამონაშუქი,
აღაპარაკებს სიყვარულს,
პატარა არის თუ ზრდასრული.

თუ თვალებიდან გამოკრთის,
ნაპერწკლიანი ღიმილი,
სიყვარულს გაუღიმიან
მისი თვალები იცინის.

სხვისი ღიმილი მახარებს,
მახარებს ფერთა მშვენება,
როცა თვალებში გამოკრთის
ნაპოვნის ბედნიერება.

ჩემი ოცნებაც ეს არის –
ღიმილს ავუნთოთ სანთლები!
ქუჩაში ყველამ იაროს
ღიმილიანი თვალებით.

ახალგაზრდობა როცა მექანის

ზოგჯერ ღიმილის დრო დამიდგება,
გული რატომღაც იწყებს ფორიაქს,
თითქოს დაბრუნდა ახალგაზრდობა
ძველმა ფიქრებმა ამიყოლია.

ღია ფანჯრიდან მერცხლების გუნდი
ჭიკჭიკებენ და ლექსებს მიყვება,
ის სიხალისე გამოყოლილი
ცხოვრების გზაზე საგზლად მიმყვება.

ჩემო სიცოცხლე, კვლავ მომეფერე,
სიზმარშიც ღამაზ სიყვარულს ვრთავდე,
არ დამავიწყო ეს ახირება
და იმედები ბოლომდე გამყვეს.

მსოლმოდ ფრახა

* * *

თუკი ადამიანს სიკეთეს გაუკეთებ –
გახსოვდეს დაივიწყე იგი,
ჯობია სიკეთე თვითონ გაიხსენოს,
სიკეთის ქმნას მაშინ აქვს ხიბლი.

* * *

ტყუილად არ მივლია ამ ქვეყანაზე
მეც მაქვს სათქმელი რაღაც,
ჯობია ის სათქმელი სხვამ თქვას –
სათქმელი რაც რომ დამრჩა...

* * *

ავწონ-დავწონე განვლილი ცხოვრება,
ბევრი მომეწონა, ბევრი არა,
ღმერთო, შენ როგორ შეაფასებ, არ ვიცი,
მე კი მგონია კმარა!

ერთხანს გამანებივრა

ეხ, ამ ფიქრებს რა ვუთხრა
დამეს რომ მატეხინებს,
ხანაც მიჩუმათდება
ხანაც გამანებივრებს.

ჩამიდგება კრიჭაში
დიდხანს არ დამაძინებს,
ხან გულს მიფორიაქებს,
წარსულზედაც მაფიქრებს.

აღარ მინდა ფიქრებში
მხოლოდ წარსულს ვხედავდე,
ჯობს შენს სურვის დავნებდე,
ფუჭად რომ არ ვღელავდე.

ჰოდა ჩემი სურვილი
ერთხანს გამილამაზე,
დროვ რა ჩქარა გარბიხარ?!..
რაზე მალაპარაკებ...

თავის-თავად მიფრინავს
დრო მედროვე, მუხთალი,
ერთხანს გამანებივრე
წუთისოფლის სტუმარი.

გაზაფხულდა

როცა აპრილი შემონათებს,
ხეზე დასხდება მწვანე კვირტები,
დილაზე სიო დაუვლის ბაღებს
მომეძალება ჩუმი ფიქრები.

განვმარტოვდები ხესთან დამღვარი,
გაზაფხულს გულის კარებს გაფუღებ,
დაველოდები კვირტების გაშლას
ლექსით, სიმღერით სანთლებს ავუნთებ.

მიყვარს ბუნების გამოღვიძება,
ასე მგონია ახლად ვიზრდები,
და სიყვარულის ლაბირინთებში
სულ სხვანაირად ისევ ვიზრდები.

და გაზაფხულზე, როგორც ყოველთვის,
ამიმღერდება სულში სიმები,
გაინავარდებს მზეში აპრილი
და გაზაფხულის ეშხით ვივსებ.

რა ყოფილა

რა ყოფილა ეს სიბერე –
სიხარუხეც აგატირებს,
დაგიმძიმებს მოგონებას
სათქმელისთვის დაგაფიქრებს.

ზოგჯერ ისე, სულ არ მინდა
ვათამაშებ ხელში კალამს,
უნებლიედ მოვა ლექსი
ფურცეზე ვწერ გულის კარნახს.

აღარ მინდა გულს ეუბრძანო,
გავაკეთო რაც არ მინდა,
ყველაფერი დარჩეს ისე
საგზლად გამყვეს სული წმინდა.

მოვეფერო ბაღში ვარდებს
და სურნელით დავთვრე მინდა,
გეხვეწებით გამაყოლეთ
„სიყვარული გზად და ხიდად“.

თეატრული გერაცხ

რატომ არის ასე ცივი,
თეატრული, შენი ქარი?..
მარტმა ია მოიყოლა
გაზაფხული ახლოს არის.

თეატრულს კი ცივ დღეებში
არეგია გზა და კვალი,
მიმოხების ყვითელ ტოტებს
აქანავებს მზეზე ქარი.

რაც არ უნდა იმიზეზო –
უკვე ჩადგა ხეში წყალი,
ენძელებმა, ყოჩივარდამ
გაახილეს ნაზად თვალი.

ხის ტოტებზე დაჯდა კვირტი
მთებმა თოვლი შეიფერთხა,
გაზაფხულის შესახვედრად
მარტმა კაბა შეიკერა.

* * *

მე სიყვარული მწყუროდა მაშინ
და სასთუმალთან მეჯდა ზვარაკად,
გულის ქუხილით ვერ გაგაგონე
რადგან ჩემს ფიქრებს ქარი ფანტავდა.

შენი თვალების ცისფერ სიურჯეს
ვეფერებოდი ჩუმად, შორიდან,
და გაზაფხულის ცისფრის ნათება
შენს თვალებს ვნებით ჩუმად კოცნიდა.

მე შენი ტრფობით მძიმედ დადღილი
ვეგებებოდი დილის განთიადს
და უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს
შენთან ვატანდი ფიქრებს დარდიანს.

მერე კი ყველა მოგონებები
შემოადამდა ფიქრებს წარსულთან
და უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს
გზა-გზა ფანტავდა ქარი ფარულად.

მითხარი რამე

მოდით, რაღაცა მითხარი,
გამიხსენ გულის კარები,
ნუ დამიმძიმებ ოცნებას,
არ ამიტურო სათქმელი.

სიყვარულს თავის ხიბლი აქვს
უხილავი და მზეგრძელი,
იმიტომაა მას მონებს
ახალგაზრდაც და ბებერიც.

ამბობენ რომ დიდ სიყვარულს
არ ჰქონიაო ასაკი,
მოეფერე და გაყევი
ატარე კუბოს კარამდი.

როცა დადგება დროუამი
თავისთავს რომ შეგახსენებს,
მოეფერები იმ წარსულს
ფიქრებში გაგანებივრებს.

* * *

არასდროს არ დაეღევა
ღამაზ ღექსს თავის მკითხველი,
ისეთი ანდამატი აქვს
ისეთი, გასაკვირველი...
ღექსები ფასეულია,
ფიქრში სანთელს რომ აგინთებს,
რომ მოგაწყურებს სათქმელს და
სიცოცხლეს გაგიხალისებს.

* * *

დილით ისეთი ხიბლი აქვს
ზღვა მუდამ მისკენ გეძახის,
ფერხთით ტალღებს რომ გაგიშლის
ვერ დაივიწყებ ვერაფრით.

ლოდინი

ვდგეკარ ღამით ფანჯარასთან –
გზას გავცქერი შორს,
მოლოდინი წუთებს მითვლის
არ ვუფრთხილდები დროს...

თოვლი ნელ-ნელა ფარავს
დღისით ნავალ კვალს,
ლოდინში გადის დრო
ფიქრობ, დაბრუნდება ხვალ...

და ამ ლოდინში გადის ღამე
ხშირ-ხშირად გავცქერი გზას,
რატომღაც ისევ მეიმედება
და ვეღარ ვხუჭავ თვალს.

დარდსა და ფიქრში გადის ღამეები
არა და არ ჩერდება თოვა,
თანდათან ვკარგავ იმედს –
რომ არასოდეს მოხვალ...

გაცრუებული ლოდინი
გულზე მიტოვებს კვალს,
დარჩენილ ცხოვრებას შეავსებს ლოდინი
არ ვიცი, რა იქნება ხვალ?

ნუსილი

ჩემი სამშობლო ჩემთვისაა
ყველაზე დიდი, ყველაზე ნაღდი,
მას არასოდეს ეღალატების
იგია ჩემთვის ფიქრი და დარდი.

შემოსევია ათასი ჯურის
გამოქცეული თავის ქვეყნიდან,
ახლა თბილისი აღარ თბილისობს
დარდი დაჰყურებს მაღლა ზეციდან.

ამ საუკუნის დასაწყისიდან
ველარ დალაგდა მთელი მსოფლიო,
ომებმა შთანთქა ბევრის სიმშვიდე
ყველგან შური და ბოღმა ზეიმობს.

და დაკარგვია ყველაფერს პეწი,
თბილისი დილით დარდში იღვიძებს,
და ამ მსოფლიო აურ-ზაურში
თავის წილ ტკივილს ველარ ივიწყებს.

ქვეყნის თავსა და ქვეყნის ბოლოში
ძლიერთა ძალის ბოღმა გიზგიზებს,
ჩემს ქვეყანაში ნაღდი ქართველი
თავისუფლადაც ვეღარ იფიცებს.

მეც ყოველ დილით ღმერთს ვევედრები –
მშვიდობის რწმენა გულში ხმიანობს,
ყველამ თავისი ქვეყნის ქუჩებში
ისევე ისე მშვიდად იარონ!

* * *

ღამეა და ციცინათელამ
გამინათა ეზო,
დავედევნე, გამეპარა
და ბუჩქებთან ცელქობს,
მერე თვალწინ ამიფრინდა
გადაველო ღობეს
დამინახა რომ მივდეგდი –
შეეფარა ფერდობს.

* * *

ჩემო ფრთამალა პეპლებო,
ღამაში კაბა გაცვიათ,
მითხარით, ვინ შეგიკერათ
ან ვისი ნაჩუქარია?..
ვინ იყო თქვენი ნათლია
ასე რამ გაგაღამაზათ,
ბუნებამ გაგაფერადათ
თუ ფიროსმანის ყალამმა.

ქველ ნაკვალავზე

მომნატრებია ჩემი სოფელი
ჩემი ბავშვობის წმინდა აკვანი,
ცის სილურჯე და ჩუმი ოცნება
და ბილიკების გზა და სავალი.

მომნატრებია ხის ფიცრის ოდა
და სურნელება რაღაც ზღაპრული,
შემომეგება ეზოსთან სიო,
შემომბაგება სევდა ფარული.

გაყუჩებულა ირგვლივ სიჩუმე
და არ გალობდა ჩიტი ღაბუა,
არ გამორბოდა ჩემსკენ ბებია
და არ მოსდევდა კვალში ბაბუა.

თითქოს მოვედი სხვა სამყაროში
და მივადექი ჩამქრალ კერიას,
და სამუდამოდ გავითავისე
რომ აქ არავინ აღარ მელიან.

შვილებს

მენატრება, იყოთ პატარები
და კალთაში რომ ჩამავლოთ ხელი,
ისევ ისე ცრემლნარევი ხმებით
დამიძახოთ,
– სად ხარ, ჩქარა მოდი, დედი!

მომენატრა თქვენი მოფერება
და რძიანი სურნელება თქვენი,
ის ლამაზი მოგონება მათბობს
გული ისევ იავნანას მღერის.

ისე ჩქარა ჩაიქროლეს წლებმა
თან წაიღეს პატარობის ხიბლი,
ისევ ისე ფორიაქობს გული
მოგონებებს უბრუნდება ფიქრი.

იყო დრო, რომ მაშინებდა თმაში თეთრი
ვხედავ თქვენს თმას შერევიან ფიფქი,
ახლა ჩემს ჭაღარას კი არადა
თმებში, თქვენს ჭაღარას ვითვლი...

უნდა ვიფიქროთ!

სიცოცხლე რადგან ერთხელ გვეძლევა
და წუთისოფლის სრბოლას მივეყვებით,
როცა წლებები გაინაპირებს –
მოგვეძალება მწარე ფიქრები.

დრო კი არ არის ქალაქის ფული,
როცა იშოვი, მაშინ იყიდო,
ახალგაზრდობის წლებებს რომ ვფანტავთ,
ამაზე ერთად უნდა ვიფიქროთ.

როცა წლებები შეგვიმოკლდება,
მოგვეძალება თმაში ჭაღარა,
მერე სინანულს არა აქვს აზრი
დრო კი თავისით დაჰკრავს ნაღარას.

როცა მხრებამდე გაგვისწორდება,
ჩვენი პატარა გოგო და ბიჭი,
დროს აღრიანად დავაყურადოთ
დაკარგული დრო კარებთან გვიცდის.

და მერე ვიწყებთ ფიქრებს იმაზე –
სიცოცხლე როგორ გავიხანგრძლივოთ,
მერე სინანულს არა აქვს აზრი,
ამაზე ადრე უნდა ვიფიქროთ.

სევდა ნარეკო ფიქრებო

სევდანარეკო ფიქრებო
რა ექნა, რომ აღარ მცვილდებით,
თუკი იარებს მომირჩენთ –
მაშინ სიხარულს გპირდებით.

ასე მგონია ცაზე მზე
ჩემთვის არასდროს ანათებს,
რა გინდა, რას მემართლები,
ჩემთვისაც გამოანათე.

ჩემს სულში შემოდგომაა,
მალე დადგება ზამთარი,
იქნება გამიღიმილო,
მითხრა კონკიას ზრაპარი.

ფიქრები აღარ მასვენებს
ხან მალვიძებენ ზარები,
მაგრამ არაფერს არ ველი
ჩავრაზე გულის კარები.

ყველა სათქმელი გავანდე
ღამით ზღვასთან რომ მივედი,
ვიცი, არვისთან გამამხელს
ამისთვის მოვეფერები.

გვანსოვდეს!

პლანეტა გასაფრთხილები
აქ-იქ ალში ეხვევა,
ამდენ ვაის-ვაგლახში
მყარად დგას და არ ბერდება.

ნუღარ გვექნება იმედი
ასე რომ დიდხანს გასტანოს,
მას გაფრთხილება სჭირდება,
კიდევ რომ დიდხანს გვატაროს.

ჭკუაზე თუ არ მოვიდა,
ვისთვის ატომი ხიბლია,
მის უკან მილიონები
დადიან
- ვეღარ ივლიან...

ყველასთვის დედამიწაა
მუდმივი თავშესაფარი,
არ დავივიწყოთ გვახსოვდეს
ხიროსიმა და ნაგასაკი!

დილით მერცლები ჭიკჭიკში
ბუნება გამოიღვიძებს,
ფრთებს გაშლის გაინავარდებს
ცისკარი გაიღიმებებს,
მერე მზე გადმოიხედავს
და სხივებს გაშლის მარაოდ,
პირდაბანილი ბუნება
დილის ცვარ-ნამში ბანაობს.

ისეთ სიმღერას რა ვუთხრა,
თუ გულსაც არ ემღერება,
სულს თუ არ მოეფინება
მაღამოდ არ დაედება.
ასეთ სიმღერას სჯობია
გაჩუმდე, არ თქვა სათქმელი,
სჯობს ცრემლით გამოიტირო
და მოიშუშო ნადველი.

სიცოცხლის სიზლი

არ არსებობს ცხოვრებაში,
სულ რომ ბედნიერია,
ამიტომაც ეს ცხოვრება
ასე ბევრის მოქმელია.

ხანაც ისეთ კვანტს დაგიდებს,
ცრემლებად აგატირებს,
ხანაც ბედნიერებისგან
სიხარულით აგავსებს.

თანახმაა ყველაფერზე,
თოხის ტარზეც რომ იწვეს,
თუნდ სიცოცხლე გრძელი ჰქონდეს,
სიცოცხლით გულს ვერ იძებს.

ერთი ვიცი, ყოველი დღე
ბევრი რამის მოქმელია,
ალბათ მიტომ დასასრული
ყველასათვის ძნელია...

როცა იქეთ გაუყვები
გულს გაგითბობს სანთლები,
მთავარია, რომ დატოვო
ნადდი კაცის სახელი!

* * *

სანაპიროზე ვიდექ მდუმარი
მთებმა კალთები ჩამოიბერტყა,
და მთვარემ ნაზად
 სხივთა აღერსით,
ჩუმად მთებიდან გადმოიხედა.
ჩამონათა მთვარემ ჩემს სულში
და მომაწოდა მდუმარეს ქნარი,
ლექსის სტრიქონებს ავლებდა თვითონ
ზღვა იყო მშვიდი, ზღვა იყო წყნარი...

ოქროს რთველი

ცისარტყელას ანარეკლი
ნარინჯებმა ჩაიხვია,
რა ღამაში ცისკიდური,
რა ღამაში დაისია!..

ოქრო მიწის ოქრო ნაყოფს,
ქარი არხევს ნარნარითა,
აჭარული შემოდგომა
კარს მოგვადგა ბარაქითა.

ჩემო მიწავ, მშობლიურო,
ოქროთი ხარ დანაფერი,
მინდა გულში ჩაგიხუტო –
შემოგძახო განახლების.

ჩემი მიწის სავსე კალთა,
მეც მამღერებს, თვითონც მღერის,
შემობრძანდა ბარაქითა
აჭარული ოქროს რთველი.

სიზმრებო

სიზმარი საოცრებაა
თითქოს წინასწარ გაფრთხილებს,
დღის ფიქრის გაგრძელებაა
რას ფიქრობ, ან რას აპირებ.

ზოგჯერაც გეიმედება,
დამესაც გაგათევენებს,
გონებას გაგინათებს და
სულში იმედებს აღვიძებს.

ჰოი, ღამაზო სიზმრებო,
იმედით გაგვიღიმილე,
შენ შეგვისრულე სურვილი
სულში კოცონი აგვინთე.

კაცის გული

ვინა თქვა: ტრფობა ბერდება,
და სატრფიალო საგანი.
ვაჟა.

ამბობენ, რომ კაცის გული
არასოდეს ბერდება,
სიყვარულის ლაბირინთში
უნებლიედ ეხვევა,
ხან ჰგონია სიყვარული
ერთხელ კიდევ ეწვია,
ეს უმიზნო ფორიაქი
არაფერის მთქმელია...
მაგრამ გული გულია და
ვერაფერს ვერ გაუგებ,
დროებითი ახირება
სულს დროებით აყუჩებს.
ასეთია ეს ცხოვრება,
ყველასათვის ძნელია,
და გზა ვიწრო გასასვლელით
ყველას გასავლელია...

ბუნების საჩუქარი

როცა აპრილი გაიმაისებს,
შემონათებს ვარდების თოვსა,
ირგვლივ ისეთი სილამაზეა
ზაფხული ფერთა სიმრავლით მოვა.

დგას კარიბჭესთან ზაფხულის დილა
და ხეხილები ტოტებზე სხედან,
მათ სილამაზეს ვერ გაექცევი,
მოეფერები ყურძნების მტევანს.

ეს ყველაფერი ფერთა ხიბლია,
და ჩემში ლამაზ სურათებს ხატავს,
ატამი, ვაშლი და სხვა ხეხილი
სურნელს ეზოში უჩუმრად ფანტავს.

მოვეფერები ზაფხულის დილას
და ყველაფერი გამოიღვიძებს,
ადამიანი რომ გაახაროს
ბუნება რას არ გამოიმეტებს.

არ მავინყდები

რატომ ბრუნდება ის მოგონება –
როცა სიცხეში ჩრდილში ვბრუნდები,
რად მახსენდება წარსულის ღამე?!..
– რასაც ვერასდროს დავაბრუნებდი.

ჰოი, ზღაპარო არშესრულების,
სანამდე უნდა ვიფიქრო შენზე,
ვიცი და მაინც ფიქრები კრთება
ვერ დავივიწყე ვერასგზით დღემდე.

იმ თეთრ კაბაში ჰგავდი ფერიას,
აღბათ იმიტომ არ მავიწყდები,
და იმ ღამაზე ფიქრების ტყვე ვარ
ჩემთვის არასდროს დასავიწყები!

ჩემი სოფლის წყარო

ყოველ დილით თუნგულათი ხელში
ვესტუმრები ჩემი სოფლის წყაროს,
მომიყვება ახალზე და ძველზე
თან სისხამზე კარგი ამბით მართობს.

ხან კეკლუცად ჩამელვრება პეშვში
ხან ამიშლის დარდიანზე ფიქრებს,
ხან კაბაზე შემომაყრის ჩუმად
საოცნებო მარგალიტის მძივებს.

ხან მიტაცებს მე ღიმილი მისი,
ხანაც ვუსმენ, რას ბუტბუტებს მარტო,
სად არ შევსვი მე მწყურვალემ წყალი –
მაგრამ სხვაა ჩემი სოფლის წყარო.

აკაცის ყვავილები

აკაცის რტო ყვავილებს მაყრის
მის სითეთრეში ვგევარ ფერიას,
სად დამეკარგა შავი თმის ფერი
ახლა რომ ასე თეთრი ფერი აქვს.

მე სხვანაირად ვხვდებოდი მაისს,
ადრე მომწონდა წითელი ფერი,
სად გამეპარა ის მოწონება?..
ახლა რად მომწონს შავი და თეთრი?..

ვღბეპარ ჩანჩქერთან

ვღბეპარ ჩანჩქერთან და ხმაურს ვუსმენ
ირგვლივ ცვივიან მარგალიტები,
ამ ხმაურიან სილამაზეში
თითქოს ღვთიური ძალით ვივსები.

ჩამოუარა ნაპირებს მთებში
ხმელი ფოთლები გაიყოლია,
და გზას გაუყვა ხმაურით, ზათქით
თურმე რამხელა ძალა ჰქონია.

როცა მალლიდან ჩამოივარა
მასზე ფიქრებმა ამიყოლია,
კლდეს ლოდი ჩამოატეხა
მშვიდად თავის გზით გაიყოლია!

პირველი თოვლი

პირველი თოვლი ჩემთვის განცდაა –
იგი ბავშვობის ასაკს მაგონებს,
ახალი თოვლის თეთრი ფანტელი,
მოგონებების წლებს მაშორებს.

ზოგჯერ მგონია რომ ვარ პატარა,
სახლის ფანჯრიდან დედა მიყურებს
და მერე მისი ნაზი ღიმილი
ყველანაირ ტკივილს მიყუჩებს.

ახლა მეცა ვარ დედა, ბებია,
ის მონატრება გულში ხმაურობს,
ახლაც მეძახის ის მოგონება,
მაგრამ ამაზე ვეღარ ვსაუბრობ.

რა ლამაზია პირველი თოვლი,
ისეთი სუფთა, ისეთი თეთრი,
ციდან ცვივიან ცეკვა-თამაშით
და სულში ახალ იმედით მღერის!..

ჩემს შთამომავლებს

ჩემს უკან შთამომავალთა,
საკმაოდ დიდი გუნდია,
და მათზე ლოცვით თენდება –
ეს ჩემი საგანძურია.

ციდან ვარსკვლავი იცინის,
თვალები ლურჯად ენთება,
დილით მზე გადმოიხედავს,
მათ აკუნებს მოეფერება.

ვაი სირცხვილო, რომ ზოგჯერ
სახელებიც კი მეშლება,
მერე რომ გამახსენდება,
გულს სიხარულად ედება.

იქეთ სესილი მიღიმის,
აქეთ ჯანო და მამუკა,
იმათი სიცილ-კისკისი
მახსენებს,
– რა დრო გასულა...

დროვ, შენი გზებით მავალო,
გამიფერადე ოცნება,
ყველა ძლიერად დაზარდე
სამშობლოს გასახარებლად!

სანაპიროსთან

ისე მშვიდია ზღვის სანაპირო –
თეთრი გუნდები გაკვრია ზეცას,
და ვარსკვლავები ცვივიან ზღვაში
და პაექრობენ სილურჯის ფერთან.

ვღგევარ ფიქრებით სანაპიროსთან
და ტალღის ჩქერებს ვეაღერსები,
და როცა მარტო დავრჩები ზღვასთან,
ფეხზე მაყრია თეთრი კენჭები.

მე ისე მიყვარს ზღვა და ბათუმი –
მათ შორიდანაც ვეაღერსები,
მერე ფიქრებსაც გადავდებ გვერდზე
და მის ტალღებში გადავეშვები.

* * *

ბათუმს ეძინა ჩუმი ზმანებით
ნაპირს დაშორდა ტაატით გემი,
გაიყოლია ჩუჩულით ხეთა
და ნაკვალევი ნისლივით თეთრი.

მინის ფასი

ვინაც მეგობრობს მიწასთან –
მან იცის მიწის ყადრი,
გაგიძლიერებს ოჯახს
ბარაქითა და ხვავით.

არ დაგიკარგავს ნაშრომს,
არვისთან რჩება ვალში,
მუდამ გექნება ღიად,
სტუმრისთვის ფართოდ კარი.

მოვლილ ბადისკენ მიტომ
ყველას გაგვირბის თვალი,
მიწაა დიდი სიმდიდრე,
მამა და მარჩენალი.

ვის შრომა ხელეწიფება
მისთვის მიწაა ნაღდი,
დაუბრუნდება ყველას
ალალი შრომის ფასი.

საქართველოში მიწაა –
ყველაზე დიდი განძი,
ნუ გაიმეტებ სხვისთვის,
იცოდეთ მისი ფასი!..

* * *

ბათუმი ჩემში ადრიდან მოდის,
როცა ბავშვობის თვალით ვხედავდი,
ჯერ კიდევ მაშინ ვეფერებოდი
და მის სიყვარულს გულში ვპერწავდი.

ზღვის სიყვარული თავიდან მომდგამს,
როცა ტალღების ჩურჩულს ვუსმენდი,
ზაფხულის დილა ცის სილურჯეში,
გულში ტალღებს რომ ჩავისუტებდი.

* * *

თოლიების თეთრი გუნდი
საცეკვაოდ მიწვევს,
ნაპირთან დგას შემოდგომა
და თვალეში მიცქერს...

დაუბერავს ცელქი სიო,
ტალღებს აათამაშებს,
და სიყვარულს, რაც გულშია
ქუჩებს შემომატარებს.

მადლობას გიხდი!

ვიცი, რომ ბევრჯერ გაგანაწყენე,
რადგან ფიქრით და შრომით დაგღალე,
გულო, გთხოვ, რომ დამიამდე
და მაპატიე, რაც რომ გაწვალე.

მე დასაკარგად წამს ვერ ვიმეტებ
ვხედავ, წლები რომ ხელში მეღევა,
და სიყვარულში პატიებას გთხოვ,
რადგან ლექსები კვლავ მეფერება.

ღმერთო, მადლობა ყველაფრისათვის,
ხანგრძლივი წლებით დამსახურე,
და მათქმევინე ყველა სათქმელი
ბევრი ლექსებით გამანებივრე.

ახლა დავრწმუნდი, რომ სიყვარული
თურმე ყველაფერს შეგაძლებინებს,
ცხოვრების წინააღმდეგობას
სურვილისამებს დაგაძლევინებს!..

იქნებ გაშიზო

როცა მარტოკა გზას დავადგები
და შენი სახლის ფანჯრებს ავხედავ,
ასე მგონია, შენც მელოდები
და მომინდება ფიქრის გამხედა.

თუკი მომისმენ, ყველაფერს გატყვი
და ფანჯარაში ამოვფრინდები,
შენი ცისფერი თვალების ტყვე ვარ
და სიყვარულში გამოგიტყდები.

მე შენზე ფიქრი დიდი ხანია,
ბავშვობიდან რომ გულში ანათებს,
ახლა დიდობა გიყურებს ჩემი
არ მასვენებს და მუდამ მაწვალებს.

შენზე ფიქრებმა

წავიდა წლები დაუკითხავად,
ჩვენ ჩვენი გზებით ისე ვიარეთ,
ჩემი ფიქრები და მღელვარება
რატომღაც ვეღარ გაგიზიარე...

შენ ჩემში ისევ ისეთად დარჩი,
ის სილამაზე დღემდე შემოგრჩა,
და ჩემს გულს შენზე ფიქრები ალბათ
და სიყვარული დიდხანს ეყოფა.

და ნუ გგონია, წარსულ წლებებმა
ის განცდები და ფიქრი წაშალა,
მხოლოდ ის არის, დაუვიწყარმა,
ფიქრებმა შენზე
-გული დაღალა!

* * *

ზაფხულმა კარი უკვე ჩარაზა
და შეუყვითლდა ხეებს ფოთლები,
სახლში დავბრუნდი და ყვითელ ფოთლებს
ვეფერები და ვემშვიდობები.

გარინდებულან ბაღში ვარდები
და ძველებურად აღარ ზიმზიმებს,
მოვა ზაფხული და ისევ ისე
იმ სილამაზით გამიღიმილებს.

* * *

სიხარულისთვის პატარაც გვეოფნის
თვალში ღიმილმა გამოიხედოს,
მთავარი არის აღამიანმა
სხვისთვის ის ცოტაც გამოიმეტოს.

უნდა გიყვარდეს

ბევრს ლექსის კითხვა არ უყვარს
ლექსი იმისთვის არაფერია,
თუ ლექსში გული არ ჩადე
მართლაც არაფრის მთქმელია.

თუ ნამდვილად ხარ პოეტი,
გინდა რომ გცადეს მკითხველი,
სანამ ნაფიქრალს დაწერდე,
ექებე მისი მიზეზი.

მკითხველს ჩაუჯდე ფიქრებში
და შეურხიო სიმები,
რომ გაუჩინო სურვილი
და სამომავლო იმედი.

ვერაფრით ვერ მოაწონებ
მკითხველს მაღალი ფრაზებით,
ჯობია, უთხრა უბრალოდ
გაგისხნას გულის კარები.

თუ სიტყვა ხელგეწიფება
მოეშვი მასთან მირაუებს,
გაითავისე, რომ ლექსი
შენ თვითონ უნდა გიყვარდეს!

* * *

საით მიფრინავ, დილის ნიავო,
სად გადაკვეთე გზა და სავალი?!..
მე ფანჯარასთან ისევ გელოდი
და ჩემს ფორიაქს საგზლად ვატანდი.

ისევ მინდოდა, ჩუმი ჩურჩულით,
ყველა სათქმელი მისთვის გამენდო,
ის სიყვარული რაც გულში მქონდა
მასთან წაგელო, სანთლად აგენთო.

* * *

ზოგჯერ საფიქრალს ვერვის გაანდობ,
გულში სანთლებად რაც რომ გინთია,
მარტო სულივით წალეკავს ქარი,
შეეგებები დილას ნისლიანს.

მაშინ დილაა უფრო სხვაგვარი
და ნისლი გულის კარებს გაგიღებს,
მზე მთის კალთიდან გადმოიხედავს
და სადარდებელს გადაგაგიწყებს.

კაცი და დათვის არაკი

არასდროს არ მავიწყდება,
კაცის და დათვის არაკი,
ცხოვრების გზაზე შემომჩნა
სიბრძნე და არა ზღაპარი.

კაცმა დათვის მოუქნია
თავში ჩაარტყა ნაჯახი,
ყვირილზე,
„- ფუ, რა სუნი გდის“
იყო იმისი ნათქვამი.

საკმაო დრო რომ გავიდა
ტყეში კვლავ შეხვდა ის კაცი,
და უთხრა, - მაშინ თუ გახსოვს
თავში ნაჯახი ჩაგარტყი.

დათვმა პასუხად ეს უთხრა,
ნაჯახი არად მიღირსო,
არ მავიწყდება, მითხარი
„პირში რა სუნი გიდისო!“

ყველა სიტყვა და არაკი
სიბრძნეზე დაფუძნებული,
კაცისთვის არის ნათქვამი
არასდროს არ დაივიწყო!

ჩემო ბაბუ

ჩემო ბაბუ, ბუხრის თავზე გვიდევს
შენეული აბედი და კვესი,
ზამთარია, კარის უკან ქარი,
ისევ ისე ძველებურად კვნესის.

ისევ ისე იღვენთება კვარი
და ბუხარში ინაცრება შეშა,
წვიმისაგან გაუღენთილი რცხილა,
ძველებურად ნაკვერჩხალზე დნება.

ისევ ისე გუგუნებს და ქმინავს,
შენი ხელით დანთებული კერა,
არც არავინ შენს საყვარელ სკამზე
არ დამჯდარა, ჩემო ბაბუ, ჯერაც...

კერიასთან ისევ ხვნეშის კატა,
ფანტელებში გაერია წვიმა,
ბუხართან რომ ვერ თბებოდი მაშინ,
ჩემო ბაბუ, ახლა აღარ გცივა?

* * *

მე ჩემს ფიქრებში დავდგი კარავი,
დამის ფიქრებთან თავშესაფარი,
და მეძახოდა ცის ლაქვარდიდან
დაბლა მინდორი, მაღლა მთა-ბარი.

ზოგჯერ ასეთიც გამიფიქრია –
რომ თეთრი ქუდი ზეცამ დამხურა,
და მეფერება ის გარინდება,
რომ არასოდეს დამავიწყდება.

მზე გაიშალა და თეთრ ჯებირებს
ოქროს სხივები გადააფარა,
და უნებლიედ მეწვია სიბლი
რამაც დამწვა და გამახარა.

ცის სიღურჯეში ტყე განაბულა,
და გაუმართავთ ჩიტებს მარულა,
და მზის ჩრდილიდან ჩამალულ სივრცეს
ეფერებოდა ნამი მალულად.

ჩემს მამულში შემოღვოვას

ბაღში ფოთლების აფერადებას,
კარგა ხანია დავაყურადე,
მწვანე, შეცვალა ყვითელმა ფერმა
და ამ ფოთლებით ვქსოვდი მირაუებს.

მე შემოდგომა მელამაზება,
ყურძნის მტევნებსაც მოვეფერები,
ახლა მე იმის მოიმედე ვარ,
რომ დასაკრეფად მალე ვეწვევი.

გაიზნიქება საწნახელები,
ეზოში მაჭრის სუნი დადგება,
აივსებიან ღვინით ჭურები
და იმედებით გარინდებიან.

საქორწილოდაც სუფრა მზად არის
და მომავლები გამრავლდებიან,
ჩემი მამულის გასახარებლად
ის პატარებიც დაიზრდებიან.

ახლა იმათი ჯერია

გათენებულ ვლევო
გატარებულ ფიქრებში,
მოსაგონარო წამებო,
თითქოს შორიდან მიცქერდით.

ვერ დავაბრუნებ იმ ხანას,
რამდენიც ერთად ვატარეთ,
შენ იყავ ჩემი მეგზური
იმ წლებს, ახლა რომ ვაფასებ.

ლექსების ყველა სტრიქონი
შენ დამილოცე გზა და გზა,
ყველა ფიქრი და ოცნება
იმ გზებით გადამატარა.

ახლა იმ ლექსის პწკარები,
წიგნებში ერთად აგკინძე,
ვუტოვებ შთამომავლობას,
ვასრულებ ჩემს დანაპირებს.

ახლა იმათი ჯერია,
ჩემს ნაფიქრს როგორ გამიგებს,
და ჩემს ნაფერებ სტრიქონებს
სანთლებს ვინ როგორ აუნთებს.

რალა გასაკვირია

როგორ დაბერებულან
ჩემი ეზოს ხეები,
თმაშევერცხლილს მიყურებს
ჩემი სოფლის სერები.

გზებზე გარინდებულა
ვერცხლისფერი კედარი,
მაკვირდება, მგონია,
ფიქრობს – ნეტა ვინ არის?!..

სიო ეჩურჩულება
ძველისძველის არაკზე,
წყნარად თავს დაუქნევს და
ჩემზე ალაპარაკებს.

მიღიმის და იგონებს,
ჩემს ბავშვობის ცელქობას,
თითქოს გასახსენებლად
მგონი ესეც ეყოფა.

გავისხენე ამ გზებზე
თუ რამდენ ხანს მივლია,
მაშინ ჩემი ჭადარა
რალა გასაკვირია?

ჭოროხი

გაზაფხულდა და...
ბობოქრობს ჭოროხი,
ტალღებს მიაქანებს
ამაყი, გოროზი,
ჰეი, ტალღებო,
თქვენთვის დაეტიეთ,
ათასი დარდი და
ფიქრები დამესიენ,
გეყოთ ამდენი
ცრემლი და ტირილი,
გაზაფხულს არ შვენის
ამდენი ვიშვიში,
თოვლი დადნა?
– კი, ბატონო...
კალაპოტში დაეტიე,
და უგულო ხონთქარივით,
ნუკი დაგვერიე.

* * *

გადათვთრდა ეზო-ბილიკები,
გაზაფხულმა დაიფერთხა კალთა,
ყველაფერი სითეთრეში ცურავს,
ღურჯი სივრცე სითეთრეში ჩადნა.

აქ პეპლები ფარფატებენ მშვიდად
ყვავილების სურნელებით მთვრალი,
და სითეთრე გაიპარა სადღაც,
როცა ვარდმა გაახილა თვალი.

ფიქრიანი ღამე

მომეძალება ღამის ფიქრები
ღექსის სტრიქონებს ჩუმად მიყვები,
ცისკრის მდუმარე სილამაზეში
ციდან ვარსკვლავთა ჯარი მიცქერის.

მინდა, რომ მითხრას რაღაც ისეთი,
გულში ფარულად რომ ჩამიჯდება,
ყველა სურვილი, რაც გულში მქონდა,
როგორც სიზმარში კვლავ ამიხდება.

ფეხბედნიერი რომ იყოს ჩემთვის,
მეხუთე წიგნი გულს რომ ახარებს,
ღექსის სიყვარულს არ დამავიწყებს
ახალ ამბებით კვლავ გამახარებს.

ღექსის სტრიქონებს იმით ვაფასებ
გულში სიმები რომ შემირხიოს,
კვლავ მათქმევინოს ისეთი რამე –
რომ არასოდეს გადამავიწყოს.

ჩემო წიგნებო, თქვენზე ფიქრებმა
მრავალი წლების ძილი წამართვა,
ის სიყვარული მათ რომ მაჩუქეს
მადლობას გუხდი მორჩა, გათავდა!

ფიქრებო ლამენათევო

ფიქრებო ლამენათევო,
მშფოთვარე სულის სიმებო,
დიდი ფიქრების სავანევ,
მომავლის დიდო იმედო.

მინდა ისეთი გიმდერო,
სიყვარულს რომ ვერ ვმაღავდე,
იმედად დილის სიზმრებში,
მარგალიტებად ვფანტავდე.

მიხმობდეს ცისკრის ზარები,
ნაფიქრს რომ გამიფერადებს,
სიამით გამიღიმილებს
და სევდას გამიფერმკრთალებს.

ისეთი სიყვარული მწამს,
რომ ჩამიჯდება ფიქრებში,
სულს თუ სიამით ამივსებთ
მეც დიდ სიყვარულს გპირდებით!...

სარჩევი

შესავალის მაგიერ.....	6
დავღევ კარდაკარ.....	13
ორი თარიღი	15
ვაზის ტირილი	17
ეს სიყვარულია	18
ისევ მეძახის	19
მხოლოდ ფრაზა	20
* * * (ზათქით მოაწყდა ტალღა ნაპირებს)	21
* * * (ზოგჯერ ლექსები თვითონ მეძახის)	22
ჩემო გური.....	23
ჩემი სოფლის ღელე	24
მეუღლეს.....	25
თეთრი ზამთარი	26
სამშობლოს.....	27
უცაბედი მოწონება	28
* * * (მეჯავრება ქლესა კაცი).....	29
სხვისი რა იცის.....	30
* * * (რაც უნდა იყოს, რაც უნდა მგესლონ).....	31
მოგონება	32
* * * (შემოდგომის ყვითელ ფოთლებს).....	33
* * * (მომნატრებია სკოლის კედლები)	34
სანაპიროზე	35
* * * (არ გამიხურო უცებ კარები)	36
* * * (როცა საქმით ვარ დაღლილი).....	37
იფიქრე.....	38
* * * (ზოგჯერ განწყობას ფასი აქვს)	39
* * * (მინდა რომ ჩემი ყველა ოცნება)	40
რატომ?.....	41
.....	41
ჩემი ცუბა.....	42
* * * (სად გამეპარა ის სიყვარული).....	43
ჩემო ენძელეკო	44
* * * (არ მავინყდება თბილი კერია).....	44
* * * (მე სამშობლოდან არსად წავსულვარ).....	45
* * * (ღმერთო, გთხოვ, ისე ნუ დამაბერებ)	46
გაზაფხულის დილა.....	47
* * * (სიცოცხლე ჩემო, შენი მონა ვარ).....	48

პატარა ნიტას	49
მოსაგონარი მეგობრებს.....	50
გაზაფხულია.....	51
როგორც თქმულა	52
* * * (როგორც თქმულა ეს სიბერე).....	52
გახსოვდეს სამშობლო.....	53
მადლობელი ვარ.....	55
* * * (რამ გამახსენა ძველი წარსული).....	56
საბალობელი დედას!.....	57
* * * (ჭირვეულია ლამაზ ქალივით).....	58
თეთრი კაზა.....	59
დაგელოდები	60
ჩემს მეგობრებს.....	61
მონატრება.....	62
დედავ ძვირფასო.....	63
გაზაფხულს შვენივს ვარდები	64
* * * (გამიგრძელდა ცხოვრების გზა).....	65
როცა იოლია ცხოვრება	66
აღამიანი	67
* * * (ობლობამ ფიქრი ადრე მასწავლა).....	68
შევხედრა წარსულთან.....	69
* * * (პოეტს სათქმელი არ დაეღვევა).....	70
მხოლოდ ფრანზა	71
* * * (ამბობენ ლექსი გულს ეფერება)	72
* * * (ამდენ ხანს ყოფნას სულ არ ველოდი).....	73
* * * (ზოგჯერ ვიგონებ ლამაზ გაზაფხულს)	74
შემოდგომის დღეებია.....	75
ჩუმათ სათქმელი.....	76
ნუ გგონია დაგიბერდი	77
აღამიანი	78
* * * (გაზაფხულის ქარია და არემარეს კოცნის).....	79
ჩემი ედემი.....	80
* * * (რადგან სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა)	81
დროების სრბოლა	81
* * * (ვიციტ დრო სწრაფად რომ გარბის).....	81
როცა მიმდებარება.....	82
* * * (როცა ასაკი მოგეძალება)	82
მინდა ვითქვა.....	83
მინდა გიმღეროთ.....	84

დედას	85
* * * (გაიცრიცება დილით ცისკარი).....	86
რა ღამაპინწყებს.....	87
* * * (რადგან სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა)	88
* * * (გაფურადდება გულში სინათლე).....	88
ეჰ, რას გაუბებ ცხონვრებს.....	89
* * * (ჩემს ეზოში ბილიკებმა)	91
მანისია.....	92
ჩემი სოფლის შარაგზები.....	93
ყველგან საახალწლო ღიმილია	94
შემოდგომა კახეთში.....	95
ზამთრის დილა	97
ახალი ფიქრები.....	98
გულო გიმღერებ	99
ფიროსმანის ნახატია	100
სამოგავლო იმედაბი.....	101
დავაბრუნოთ სიყვარული	102
ვიფიქროთ ამაზე!	104
რასაც ვნატრობ	106
ჩემს აჭარაში	107
ფიქრები ლექსთან	108
დაფიქრდი ჩქარა!	109
ჩემი ძვეყანა	110
* * * (ნადი და მარტო დამტოვე).....	111
* * * (ზოგჯერ გზაზე მივდივარ და)	112
* * * (ზღვა იყო ისეთი ნაზი).....	113
* * * (როცა დილით მოადგება).....	113
სიყვარულით	114
* * * (ზღვა იყო ჩემი მესაიდუმლე).....	116
* * * (ჩემო ლამაზო ლექსებო)	116
იქნება დავფიქრდეთ	117
ლექსები ამიმღერდება	118
* * * (ცის კიდურზე მზე იცინის)	119
* * * (შემოდგომა კარს მოგვადგა).....	119
იმედი	120
* * * (ჩემს ეზოსთან სიახლოვეს)	121
* * * (საით მიფრინავ, დილის ნიავო).....	122
* * * (ზოგჯერ საფიქრალს ვერვის გაანდობ).....	122
გაზაფხულდა	123

* * * (ზაფხული ისე ჩქარა გასრულდა).....	124
ბატონ ზურაბ შვიპარდნაძის ბაღს	125
* * * (შემომეცალეთ ახლობლებო და მეგობრებო).....	126
* * * (მზემ გაიცინა და ზღვას ჩაენთო)	126
კარუსელი	127
* * * (მომეფერეთ, ენძელებო)	127
პირველი თოვლი.....	128
* * * (როცა ფიქრები მომეძალება)	129
მხოლოდ ფრაზა	130
მომენატრეთ მეგობრებო.....	131
მზეო ამოდი, ამოდი,	132
* * * (ბედნიერება მართლაც ის არის).....	133
წვიმიანი მზე	134
* * * (მერცხლებო, შავო მერცხლებო)	136
* * * (თავს დაგვდგომია ცისკარი)	136
* * * (მივყვები სანაპიროს და)	137
დაბრუნება.....	138
ვერაფერი დამავინწყებს.	139
გაზაფხულის იდილია.....	140
მოდო სანაპიროსთან	141
ნიოფსიდიდან დარუბანდამდე.	142
განა ვინმეს ველი.....	143
* * * (ქუჩაში მოდის ლამაზი ქალი).....	144
ხმაური ქარში	145
ზღვის სიმფონია	146
* * * (მინდორ-ველები).....	147
დაველოდეგი.....	148
* * * (ქვეყნად რამდენი სიტყვაა)	148
დროვ სანუთიროს ღიმილო.....	149
* * * (ღმერთო, არ მომიშალო).....	150
* * * (წადი, გაფრინდი, მერანო)	150
სალალოპო	151
* * * (სიბერე რომ ძნელი არის)	152
სამშობლო ერთადერთია	153
* * * (რა ლამაზია, როცა ზაფხულში).....	154
* * * (მოკლეა წუთისოფელი)	154
ვიართო ევროპულ ოჯახთან ერთად.....	155
* * * (დილას რომ ადრე გამოიღვიძებ).....	157
* * * (გამიყოლია ქარმა მთებისკენ)	157

იფიქრეთ ამაზეც!	158
ქალის სილაგაზე	160
გელოდეგით!	161
* * * (ამბობენ, თურმე სიყვარულს)	162
* * * (რატომ გგონიათ, რომ სიყვარული)	162
დაე ასრულდეს	163
* * * (ტკივილი ისე არ შეგანუხებს)	165
* * * (წუხელის სიზმრად გიხილე)	165
ქართველობას გაუფრთხილეთ!	166
* * * (როცა მზე გადაიხრება)	168
* * * (გამიფრინდა ზაფხული და)	168
ნუთუ ჩემი თბილისია	169
* * * (ზამთარში ღამე დიდია)	171
* * * (რაცა უნდა შეთქვა ისეთი...)	172
რა არის ჩემთვის მთავარი	174
* * * (როცა ღამეა, ზოგჯერ სათქმელი)	175
* * * (თქვენი ალერსი მინდა)	176
ბახსოვდეთ დიდგორი	177
* * * (ერთხელ ღამაში კაბა ვიყიდე)	179
* * * (როცა ქუჩაში გავდივარ)	180
ახალგაზრდობა როცა მიქახის	181
მხოლოდ ფრაზა	182
ერთხანს გამანებვიკრა	183
გაზაფხულდა	184
რა ყოფილა	185
თეატრული გერავს	186
* * * (მე სიყვარული მწყუროდა მაშინ)	187
მითხარი რამე	188
* * * (არასდროს არ დაეღევა)	189
* * * (დილით ისეთი ხიბლი აქვს)	189
ლოდინი	190
წუხილი	191
* * * (ღამეა და ციკინათელამ)	193
* * * (ჩემო ფრთამალა პეპლებო)	193
ქველ ნაკვალევზე	194
შვილებს	195
უნდა ვიფიქროთ!	196
სევდა ნარეკო ფიქრებო	197
გვახსოვდეს!	198

* * * (დილით მერცღეების ქიკჭიკში)	199
* * * (ისეთ სიმღერას რა ვუთხრა)	199
სიცოცხლის სიბლი	200
* * * (სანაპიროზე ვიდექ მდუმარი).....	201
ოქროს რთველი	202
სიზმრებო	203
კაცის გული	204
ბუნების საჩუქარი	205
არ მავინწყდები	206
ჩემი სოფლის წყარო	207
აკაციის ყვავილები.....	208
ვდგევარ ჩანჩქერთან	209
პირველი თოვლი.....	210
ჩემს შთამომავლებს	211
სანაპიროსთან	212
* * * (ბათუმს ეძინა ჩუმი ზმანებით).....	212
მიწის ფასი	213
* * * (ბათუმი ჩემში ადრიდან მოდის)	214
* * * (თოლიების თეთრი გუნდი).....	214
გაღლობას გიხადი!	215
იქნებ გამიგო	216
შენზე ფიქრებმა	217
* * * (ზაფხულმა კარი უკვე ჩარაზა).....	218
* * * (სიხარულისთვის პატარაც გვეყოფნის).....	218
უნდა გიყვარდეს.....	219
* * * (საით მიფრინავ, დილის ნიავო)	220
* * * (ზოგჯერ საფიქრალს ვერვის გაანდობ).....	220
კაცის და დათვის არაპი	221
ჩემო ბაბუ	222
* * * (მე ჩემს ფიქრებში დავდგი კარავი)	223
ჩემს მამულში შემოდგომას	224
ახლა იმათი ჯერია	225
რაღა გასაკვირია	226
ჭოროხი	227
* * * (გადათეთრდა ეზო-ბილიკები)	228
ფიქრიანი ღამე	229
ფიქრებო ღამენათევო	230



ISBN 978-9941-9580-9-0



9 789941 958090